CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 4 მაისი, 2009 წელი. №96 (2134) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესმბუდსმენი
A4



კიდევ ერთი ამბავი ელისაბედ I-ის შესახებ
A10

ქართული "სუპერკლასიკოს" მოლოდინში
A13

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საადაზღვევო ჯგუფი

# ოპოზიციის გეგმები

**დათო გამისონია**

ხელისუფლებასა და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების დაწყების შემთხვევაში, საპროტესტო აქციების ორგანიზატორი პოლიტიკური ძალების ნაწილი, ერთადერთი დეკლარირებული მოთხოვნის მიუხედავად, მზად არის ხელისუფლების შემოთავაზებების მოსასმენად. პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებამ კი მზადყოფნა გამოთქვა, რომ მუშაობა დაიწყოს ქვეყნის საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლისა თუ კოალიციური მთავრობის ფორმირების საკითხზე. გუშინ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა განმარტა, რომ, თუკი ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები რეფორმების განხორციელებაში ჩართვის სურვილს არ გამოთქვამენ, მმართველი პოლიტიკური ძალა მათზე მუშაობას მაინც დაიწყებს. ამასთანავე, სისტემურ ცვლილებებზე მოლაპარაკებებისთვის მზად არის საპარლამენტო ოპოზიცია. მათი აზრით, ხელისუფლების შეცვლამდე ქვეყნის მართვის სისტემა უნდა შეიცვალოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველოში ჩამოსვლა სამშობლოსთან გვაახლოებს

**დიმიტრი ავალიანი**

*თბილისს ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოჰარ დუდაევის ოჯახის წევრები ესტუმრნენ. ჯოჰარ დუდაევის შვილის დეგი დუდაევის თქმით, ეს ზვიად გამსახურდიას დაბადების და ჯოჰარ დუდაევის გარდაცვალების თარიღებს უკავშირდება. დღეს დუდაევების ოჯახი, ისევე როგორც მრავალი მათი თანამემამულე, ემიგრაციაში ცხოვრობს და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. 24 საათთან საუბრისას დეგი დუდაევი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ მოიხსენიებს. იგი აცხადებს, რომ ჩეჩენი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისთვის გრძელდება და კავკასიის მომავალი ყველა ხალხის ერთობა და მშვიდობა უნდა გახდეს.*

**- ამ მომენტისთვის სად ცხოვრობს თქვენი ოჯახი?**

- მე, დედაჩემი და უფროსი ძმა თავისი ოჯახით ლიტვაში, ვილნიუსში ვცხოვრობთ. კიდევ გვყავს და, რომელიც ოჯახთან ერთად თურქეთში ცხოვრობს.

**- გაქვთ თუ არა კონტაქტები ჩეჩნეთთან, იცნობთ თუ არა იქ არსებულ სიტუაციას?**

გაგრძელება A3 გვერდზე



*დეგი დუდაევი*

# სავაჭრო სანქციები ღორის გრიპის გამო?

**მარიკა იაშვილი**

ქვეყნები, რომლებიც ღორის გრიპით ყველაზე მეტად დაზარალდნენ, ვირუსის გამო ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაუარესების წინააღმდეგ გამოდიან.

მექსიკის, აშშ-სა და კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრებმა სხვა ქვეყნების მთავრობებს თხოვნით მიმართეს, ღორის გრიპის ეპიდემია სავაჭრო სანქციების დაწესების საბაბად არ გამოიყენონ.

ღორის გრიპის შედეგების წინააღმდეგ გამოდის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც. უწყება მიიჩნევს, რომ ღორის ხორცის პროდუქტებზე აკრძალვის დაწესების აუცილებლობა არ არსებობს. ზოგ ქვეყანაში, მათ შორის ჩინეთსა და რუსეთში, უკვე ძალაში შევიდა ღორის ხორცის პროდუქტების იმპორტზე აკრძალვა. ეგვიპტეში კი გრძელდება, დაახლოებით, 300 ათასი ღორის განადგურება, რასაც ქვეყნის ხელისუფლება ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ მიღებულ უსაფრთხოების ზომად მიიჩნევს.

მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პატრისია ესიპინოსამ გააკრიტიკა ჩინეთი, პერუ, არგენტინა, ეკვადორი და კუბა, რომლებმაც მექსიკის მიმართულებით ავიარეისები გააუქმეს. მინისტრი ღორის გრიპის გავრცელების შემდეგ მექსიკის მიმართ მიღებული "არასწორი ზომების" წინააღმდეგაც გამოვიდა. ვირუსით დაავადების შემთხვევები უკვე 18 ქვეყანაში დაფიქსირდა.

მექსიკის ჯანდაცვის მინისტრმა ხოსე ანხელ კორდოვამ განაცხადა, რომ ვირუსით ქვეყანაში, საერთო ჯამში, 19 ადამიანი გარდაიცვალა. ექიმები კიდევ 101 ადამიანის გარდაცვალების ზუსტი მიზეზების დადგენას ცდილობენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

CMYK - 1

## საქართველოში იაპონიის საელჩო ოფიციალურად გაიხსნა

2 მაისს საქართველოში იაპონიის საელჩო ოფიციალურად გაიხსნა. ამ მოვლენის აღსანიშნავად სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა საზეიმო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და სხვა ოფიციალური პირები. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საელჩოს გახსნა ადასტურებს, რომ ქართულ-იაპონური ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. საქართველოში იაპონიის ელჩ მასაეში კამუხარას თქმით კი, საელჩო საქართველოში იაპონური ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. მისი აზრით, საქართველოს ბევრი იაპონელი ტურისტის მიღება შეუძლია. იაპონიის საელჩო კრწანისის რაიონში განთავსდება.

*მედიანიუსი*

## ოსი მარიონეტები "საპარლამენტო არჩევნებისთვის" იწყებენ მზადებას

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი დე ფაქტო საპარლამენტო არჩევნებისთვის აქტიურ მზადებას ორშაბათიდან იწყებს.

ჯოკოითის მარიონეტული რეჟიმის მიერ დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო უბნები ორშაბათიდან დაკომპლექტდება. ახალგორის რაიონის სეპარატისტული ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამჟამად ცხინვალში იმყოფებიან და როგორც გავიგე, რაღაც ანკეტების ჩამოტანას აპირებენ. თუმცა, არ ვიცი, ამ ანკეტებს რა დანიშნულება ექნება. შესაძლოა, იძულებითი პასპორტაზაციისთვის იყოს საჭირო", - აცხადებს ახალგორის რაიონის გამგებელი ზურაბ ფიცხელაური.

*მედიანიუსი*

## რუსი ოკუპანტები "საზღვარს" ამაგრებენ

რუსმა ოკუპანტებმა ადმინისტრაციული საზღვრის გასამაგრებლად გალის რაიონში დამატებითი საამშენებლო მასალები შეიტანეს. "საზღვრის" გასწვრივ მიმდინარეობს მავთულხლართების მოწყობა, მონტაჟდება ვიდეო-სასიგნალო აპარატურა.

პროცესს ევროკავშირის წარმომადგენლები ენგურის ხიდიდან ადევნებდნენ თვალს. აფხაზური მხარის მიერ გამოყოფილია სპეციალური ტერიტორია, რომლის იქითაც დამკვირებლებს გადასვლა ეკრძალებათ. ჯერჯერობით დაუდგენელი მიზნებისთვის რვა სხვადასხვა ადგილზე დაწყებულია გვირაბების მოწყობა. ერთ-ერთი ინფორმაციით, გვირაბები ასაფეთქებელი საშუალებების შენახვისთვისაა განკუთვნილი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ოსმა მარიონეტებმა იარაღის საწყობი "აღმოაჩინეს"

ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათში იარაღის საწყობი აღმოაჩინეს. ამის შესახებ სააგენტო ,,რეს,,ი იუწყება. ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იარაღი 2 მაისს, დაახლოებით, 18:00 საათზე იპოვეს. ,,თავდაცვის სამინისტროს მზვერავებმა სკოლის გვერდით, ერთ-ერთი ქართველის სახლში იარაღის საწყობი იპოვეს, სადაც ინახებოდა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები MOH-50 და MOH-90, ასევე სხვა მსხვილკალიბრიანი ჭურვები,,,- განაცხადეს ე.წ. თავდაცვის სამინისტროში. ადგილზე ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და გამნაღმველები მუშაობენ.

*ინტერპრესნიუსი*

## სოხუმსა და ცხინვალში პიერ მორელის შეხვედრები იგეგმება

დღეს სოხუმში ჟენევის კონსულტაციების თანათავნჯდომარე პიერ მორელის ვიზიტი იგეგმება. ვიზიტის მთავარი საკითხი, სავარაუდოდ, ჟენევის კონსულტაციების პროგრამის დეტალების შეთანხმება იქნება.

5 მაისისთვის დაგეგმილია მორელის ვიზიტი ცხინვალშიც.

ევროკავშირის წარმომადგენლობაში არ აკონკრეტებენ ინფორმაციას, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხარესთან დაგეგმილი მოლაპარაკებების დროს დაისმება თუ არა საკითხი ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ეუთო-ს დამკვირებლების დაშვების შესახებ. მორელი მოლაპარაკებებს თბილისშიც გამართავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ოპოზიციის გეგმები

პირველი გვერდიდან

გიგი წერეთელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე კვირას საბოლოოდ უნდა გაირკვეს, ვინ მიიღებს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობას და რა ფორმატით უნდა წარიმართოს დიალოგი. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის პოზიციას, ,,კონსერვატიული პარტიის,, ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ აღნიშნა, რომ **ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული დღის წესრიგი დიალოგის დასაწყებად საკმარისი არ არის.**

საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციის ლიდერები კვლავინდებურად აპირებენ ქუჩის პროტესტის გაგრძელებას. ოპოზიციონერთა ,,სამიზნე,, ამჯერადაც ,,საზოგადოებრივი მაუწყებელია.,, ,,კონსერვატორ,, კახა კუკავას თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები მიზნად ისახავენ, მორალური ზეწოლის გაგრძელებით აიძულონ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის,, ჟურნალისტები, უარი თქვან საინფორმაციო გამოშვებების გაკეთებაზე.

გუშინ ,,საქართველოს გზის,, ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო მიტინგზე შეკრებილ მოქალაქეებს აქტიუროზისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა: **,,საზოგადოებრივი მაუწყებელი არის თქვენი არხი. ამდენად, ყველამ ერთად უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოდის პოლიტიკური კინკლაობა, რომ თითქოს ჩვენ გვინდა მისი ხელმძღვანელის დანიშვნა და ამ არხის ოპოზიციურად გადაქცევა. უნდა გითხრათ, რომ სულაც არ გვინდა,** - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

მან პოლიტიკური ოპოზიციის სხვა გეგმის შესახებაც განაცხადა. ზურაბიშვილის თქმით, 5 მაისს გაიმართება ერთსაათიანი გამაფრთხილებელი აქცია, რაც გულისხმობს ერთი საათით თბილისის ყველა შემოსასვლელის დაკეტვას. გარდა ამისა, გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში გამართული კონსულტაციების შემდეგ ოპოზიციის ლიდერებმა მომავალი გეგმების შესახებაც ისაუბრეს. მათი თქმით, 6 მაისს ოპოზიციონერები რეგიონებში გასვლას და საპროტესტო ტალღის მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშლას გეგმავენ.

ფოსტა

# საშუალოსტატისტიკური მოქალაქის ფიქრები

**მერაბ მისაბიშვილი**

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის დაკვეთა ხელისუფლებისადმი არის საქართველოს მიახლოება დასავლურ სტანდარტებთან, ინტეგრირება ევროატლანტიკურ სივრცეში და, როგორც შედეგი, აღნიშნული სტანდარტების მიღწევა ცხოვრების ყველა სფეროში: უსაფრთხოებაში, ჯანდაცვაში, განათლებაში, სოციალურ დაცვაში, სასამართლოს დამოუკიდებლობაში, სიტყვის თავისუფლებაში, ეკონომიკაში, კულტურაში და ა.შ. ეს მისწრაფებები სრულიად გასაგები და მისაღებია. საქართველოს, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა და, განსაკუთრებით, გარე საფრთხეებისა და საერთაშორისო ბიუროკრატიისა, პრინციპში აქვს ყველა შანსი უახლოეს მომავალში გახდეს ნატო-სა და შემდგომ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

ამ დღეებში საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ ევროპულ სახელმწიფოზე, კერძოდ ისლანდიაზე. როგორც მკითხველს მოეხსენება, ეს ქვეყანა ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარეობს და, შესაბამისად, მისი მცირერიცხოვანი მოსახლეობისათვის დამახასიათებელია ნორდიული ხასიათი და პროტესტანტული კულტურა, რომელიც ხასიათდება რაციონალურობით, თავშეკავებულობით, დაბალი ემოციურობით, მუყაითობით, სოციალური სოლიდარობით და სხვა. ისლანდიის ძირითადი კანონით - კონსტიტუციით ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი და მისი არჩევა ხდება ოთხი წლის ვადით მხოლოდ ერთხელ. ისლანდიის დღევანდელი პრეზიდენტი ოლაფერ რაგნარ გრიმსონი კონსტიტუციის შესაბამისად ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულ იქნა 1996 წლის 29 ივნისს. მიუხედავად კონსტიტუციის მოთხოვნისა, იგი დარჩა ქვეყნის პრეზიდენტად 2000 წლის 29 ივნისის არჩევნების შედეგად და რისი მიზეზიც იყო ,, სხვა კანდიდატის არარსებობა. 2004 წლის 26 ივნისისა და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ოლაფერ რაგნარ გრიმსონი კვლავდაკვლავ არჩეულ იქნა ისლანდიის პრეზიდენტად კანდიდატების არარსებობის გამო.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ საქართველოსათვის ეს მაგალითი სრულიად მისაბაძია. ევროპაში არის რიგი სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობის მენტალიტეტი გარკვეულწილად ჩამოგავს ჩვენსას, განსაკუთრებით სამხრეთ ევროპული სახელმწიფოები, მაგალითად გამოდგება იტალია, ესპანეთი, ალბანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი და სხვა, თუმცა ისინი სრულიად ინტეგრირდნენ დიდ ევროპულ ოჯახში.

ან კიდევ: ბუშის რეიტინგი მისი პრეზიდენტობის გარკვეულ პერიოდებში 5%-ს არ აღემატებოდა, ხოლო ზოგიერთი სოციოლოგიური გამოკვლევით 2%-ზე ნაკლებიც კი იყო. მიუხედავად აღნიშნულისა, ოპოზიციას არ მოუწოდებია მოსახლეობისათვის ვაშინგტონში ან ნიუ-იორკში მასობრივი აქციების მოწყობისაკენ პრეზიდენტის უპირობო გადადგომის მოთხოვნით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადებისაკენ.

საქართველოში უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებული დრამატული მოვლენების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ჩვენს მენტალობაშია - მაქსიმალიზმი, სულმოკლეობა, კარიერიზმი, სწრაფი გამდიდრების სურვილი და, საერთოდ შედარებით დაბალი მოქალაქეობრივი კულტურა. მიჭირს თქმა, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული თვისებები ქართველ კაცს ისტორიულად, მაგრამ 200-წლოვანმა რუსულმა კოლონიურმა პოლიტიკამ და, განსაკუთრებით, 70-წლიანმა საბჭოურმა მმართველობამ უდავოდ დიდი დაღი დაასვა ჩვენი ცხოვრების წესს, ერის ფსიქოლოგიას. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უფრო შეძენილი თვისებებია, ვინაიდან სხვანაირად ვერ შეძლებდა თავის გატანას და XXI საუკუნეში შესვლას ჩვენი ქვეყანა, მას რომ დიდი სიბრძნე და თვითგადარჩენის ინსტინქტი ღრმად არ ქონოდა გამჯდარი. აქვე მინდა გავიხსენო XVII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც სამეფო კარის დავალებით, მიუხედავად იმ პერიოდის მწირი შესაძლებლობებისა, შეეცადა ევროპისათვის გაეცნო საქართველო და ეთხოვა სტრატეგიული კავშირის დამყარება ევროპასა და საქართველოს შორის, რომელიც, როგორც ცნობილია, ფიასკოთი დასრულდა.

XXI საუკუნეში საქართველო, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, გარე და შიდა შემაფერხებელი გარემოებებისა, კვლავ მიისწრაფვის ევროპისაკენ, თავისი ბუნებრივი წიაღისაკენ. ნემსის ყუნწში მოგვიწევს გაძვრომა, მაგრამ, ვფიქრობ, ამჯერად ეს მისწრაფება შედეგიანი იქნება.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საქართველოში ჩამოსვლა სამშობლოსთან გვაახლოებს

- იმის მიუხედავად, რომ ჩეჩნეთში უკვე 10 წელია, არ ვყოფილვარ, ურთიერთობა მაქვს ხალხთან, ვინც იქიდან ევროპაში ჩამოდის. ისინი ყვებიან, რა ხდება იქ. ჯერჯერობით, კონტაქტები ამით შემოიფარგლება. საქართველოში ჩამოსვლა რაღაცნაირად გვაახლოებს სამშობლოსთან. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ჩეჩნეთში ჩასვლასაც მოვახერხებ, რომ ჩემი ნათესავები და მეგობრები ვნახო.

**- ამის შესახებ გაქვთ რაიმე მოლაპარაკება ჩეჩნეთის მოქმედ ხელისუფლებასთან?**

- არავითარი მოლაპარაკება არ გვაქვს. მე მთელი ამ ათი წლის განმავლობაში ყოველთვის შემეძლო სამშობლოში დაბრუნება. კანონის თანახმად, მე ამის სრული უფლება მაქვს. თუმცა, არის მორალური ფაქტორი - მე იქ ვერ ვიქნები იმიტომ, რომ მამაჩემის და მისი თანამებრძოლების იდეა ძირეულად განსხვავდება იმისგან, რაც ახლა იქ ხდება. ამიტომ ჯერჯერობით ჩემი ძმების გვერდით ვარ, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

**- როგორ შეაფასებთ დღეს ჩეჩნეთში არსებულ მდგომარეობას? როგორ ცხოვრობს იქ ხალხი, არის თუ არა მშვიდობა?**

- იმის მიუხედავად, რომ საბრძოლო მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, ხალხი სიმშვიდეს სულაც არ გრძნობს. პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ადამიანებს სულ უფრო მეტად აღელვებთ.

**- რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ჩეჩნეთის ხელისუფლება, კადიროვის მეთაურობით, ჩეჩენი ხალხის ინტერესების გამომხატველად?**

- ის კრემლის ხელისუფლების ინტერესებს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ჩვენი ხალხისას. ვფიქრობ, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერალური ძალების ყოფნა გავლენას ახდენს იქაურ ხელისუფლებაზეც და მოსახლეობაზეც. უბრალო ადამიანის ცხოვრება ჩეჩნეთში ძალიან მძიმეა. ამიტომ, ჩემი აზრით, თუ ვიზრუნებთ ერთიანი, კანონიერად მოქმედი ხელისუფლების შექმნაზე, წესრიგზე, ამის შედეგად შეიძლება ადამიანებისთვის ნორმალური ცხოვრების პირობები შეიქმას.

**- რა არის ამისთვის საჭირო? იგივე რამზან კადიროვმა ყოფილი ხელისუფლების წევრებს დაბრუნება შესთავაზა, მათ შორის აჰმედ ზაკაევს და სხვებს. ეს შესაძლებელია?**

- რადგან იგი ასეთი წინადადებით გამოვიდა, ე.ი. შესაძლებელია. მეორე მხრივ, ამ საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს. ვიღაცისთვის ეს შერიგებას ნიშნავს, ვიღაცისთვის - ღალატს. თუ ყოფითი

კუთხით მივუდგებით, სამშობლოს გარეთ მცხოვრები ადამიანი თავს კარგად ვერ გრძნობს. ზაკაევსაც, ჩემი აზრით, ფიზიკურადაც და მორალურადაც ურჩევნია, ჩეჩნეთში იცხოვროს. თუმცა, პოლიტიკურად გადაწყვეტილება ასეთი შერიგების შესახებ ძნელად მისაღებია იმ ხალხისთვის, ვინც ჩეჩნეთის გარეთ ცხოვრობს. ჩეჩნეთში ადამიანებს დევნიან, კლავენ. ადამიანისთვის მორალურად ძნელია იქ დაბრუნება, სადაც ის ხელისუფლება და კანონებია, რომლის პირობებშიც მას ცხოვრება არ სურს.

**- თქვენი აზრით, რა არის დღეს მნიშვნელოვანი ჩეჩენი ხალხისთვის, ეროვნული იდეისათვის - შეიარაღებული წინააღმდეგობის გაგრძელება თუ მშვიდობა და სტაბილურობა ჩეჩნეთში?**

- ადამიანისთვის, რომელიც თავიდანვე ჩეჩნეთის დამოუკიდებლობაზე ფიქრობდა და ამის იმედი არ დაუკარგავს, აუცილებელი არ არის ხელში იარაღის აღება. წინააღმდეგობის გაწევა მრავალი სხვა ხერხით შეიძლება, მით უმეტეს, დღეს, 21-ე საუკუნეში. ვიღაც თავისუფლებისთვის ბრძოლას იარაღით ხელში ირჩევს, ვიღაც - სხვა მოქმედებებით. ჩვენ თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის უკვე 300 წელია, ვიბრძვით. ეს ბრძოლა არ შეჩერებულა და არც შეჩერდება. ასეთია ჩვენი ისტორია. არ მინდა, ვილაპარაკო ჩემს თაობაზე, მინდა, რომ ჩემმა შვილიშვილებმა ან შვილთაშვილებმა მაინც იცხოვრონ მშვიდად. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს იმისთვის, რაც ყველაზე ძვირფასია - ადამიანს შეეძლოს, რომ სამშობლოში მშვიდად იცხოვროს, უყვარდეს თავისი ქვეყანა, იმუშაოს, აშენოს, შექმნას პირობები შვილებისათვის.

**- თქვენი აზრით, როგორ მოხდა, რომ აგვისტოს ომმაც არ ჩაიარა ჩეჩნების მონაწილეობის გარეშე? აფხაზეთის ომში შამილ ბასაევი იყო, ამჯერად - იამადაევი...**

- რაც შეეხება ბასაევს. მაშინ ისეთი დრო იყო, მცირე თანხად შეგეძლო, არალეგალურად გეშოვა იარაღი და სადღაც წასულიყავი საომრად. იმ მომენტში ჩეჩნეთის ხელისულფლება, როგორც ასეთი, არ არსებობდა, მით უმეტეს, რაიმე ბრძანებები არ გაუცია. მაშინ პრეზიდენტად მამაჩემი, ჯოჰარ დუდაევი იქნა არჩეული. იგი ვერ აგებდა პასუხს იმაზე, რომ სადღაც ეროვნებით ჩეჩენმა ვიღაცას ესროლა. რაც შეეხება აგვისტოს მოვლენებს, ეს რუსეთის მხრიდან პროვოკაციას უფრო ჰგავს. რაც არ უნდა ხდებოდეს, რა ომიც არ უნდა იყოს, რუსეთი ყოველთვის ეცდება, რომ ამაში კავკასიის ხალხები ჩაითრიოს. ამის გაკეთება ყველაზე ადვილია იქ, სადაც არასტაბილური სიტუაციაა. ყველაზე არასტაბილური სიტუაცია კი ჩეჩნეთშია. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ჩვენს ერთმანეთზე წაკიდებას და ამას დღესაც ახერხებენ. ძალიან ცუდია, რომ რუსეთი არაფრად აგდებს კავკასიაში მეზობელი ხალხების ინტერესებს და ცდილობს, დაყავი და იბატონე-ს პრინციპით ისინი ერთმანეთს დაუპირისპიროს. ეს ძალიან ცუდი ხერხია საკუთარი მიზნების მისაღწევად. ჩვენში არის სისხლის აღების წესი, ჩვენი მენტალიტეტის წყალობით, გვახსოვს სხვა ადამიანის მიერ ჩადენილი ბოროტება, ამიტომაც არის ასეთი ქმედება კავკასიაში ყველაზე მეტად მიუღებელი.

**- რატომ გადაწყვიტა თქვენმა ოჯახმა საქართველოში ჩამოსვლა?**

- ათი წელია სამშობლოში არ ვყოფილვართ. ამიტომაც, ვიყენებთ ნებისმიერ შესაძლებლობას, რათა მეორე სამშობლო, საქართველო მოვინახულოთ. თანაც, წელს 31 მარტს ზვიად გამსახურდიას 70 წელი შეუსრულდებოდა. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი თარიღია, იმის მიუხედავად, რომ დღეს ეს ადამიანი ჩვენ გვერდით აღარ არის. ასევე, 21 აპრილს მამაჩემის გარდაცვალების დღეა. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, ვიყო ახლოს სამშობლოსთან, ვნახო ჩემი თანამემამულეები, ნათესავები. რაც მთავარია, ვიგრძნოთ კავკასიური სული, კავკასიის მიწა, საიდანაც წამოვედით. მე შემდგომშიც აუცილებლად ჩამოვალ ამ თარიღებთან დაკავშირებით. ახლა ამის შესაძლებლობა არსებობს და ამით ვსარგებლობთ. ჩეჩნეთი ახლოსაა, თუმცა საქართველოც ჩვენი მეორე სამშობლოა.

**- საქართველოს მეორე სამშობლოს რომ უწოდებთ, ეს თქვენი ცხოვრების გარემოებებს უკავშირდება?**

- საქართველო ჩვენთვის მეორე სამშობლოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მამაჩემის ძმა, ბიძაჩემი ზვიად გამსახურდია იყო. განსხვავებული რელიგიის მიუხედავად, მსგავსი ტრადიციები, ისტორია და კულტურა გვაქვს, მსგავსი მენტალიტეტი და კავკასიური სული. ამიტომაც, ჩემთვის კავკასიის ყველა ხალხს შორის ყველაზე ახლობელი ქართველი ხალხია.

**- მამათქვენი და ზვიად გამსახურდია ერთიანი კავკასიის იდეას უჭერდნენ მხარს. როგორ უყურებთ ამ იდეას და არსებობს მომავალში მისი განხორციელების შესაძლებლობა?**

- ეს ყველაზე კარგი იდეა და ოცნებაა. არა მგონია, რომ ის მხოლოდ მამაჩემს და ბიძაჩემს დაებადათ. ეს ყველა ჭეშმარიტი კავკასიელის იდეაა. კავკასიის რეგიონი ერთიანი და აყვავებული უნდა იყოს. მართალია, დღეს ეს ოცნებაა. დღევანდელი მდგომარეობა არ იძლევა იმედს, რომ ეს მალე მოხდება, მაგრამ ამ დროს მე თუ ვერ მოვესწრები, მინდა, ჩემმა შვილებმა, შვილიშვილებმა იცხოვრონ ერთიან მშვიდობიან კავკასიაში, მოძმე ხალხებს შორის, მშვიდობის, კეთილდღეობისა და ყოველმხრივი პროგრესის პირობებში.

## ენგურის ხიდზე სატრანსპორტო მიმოსვლა შეზღუდულია

ენგურის ხიდზე, ზუგდიდი-გალის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე სატრანსპორტო მიმოსვლა შეზღუდულია, რაც აფხაზეთის მარიონეტულ მთავრობასა და რუსეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას უკავშირდება.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გალის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ განმარტა, რუსი სამხედროები მოქალაქეებს ენგურის ხიდზე გადასვლის უფლებას არ აძლევენ და სპეციალურ საშვებს ითხოვენ. მისი თქმით, ხიდზე გადასვლის უფლება აქვთ მხოლოდ ენგურჰესზე მომუშავე თანამშრომლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერო-ს წარმომადგენლების ავტომანქანებს.

ეს შეზღუდვები დაწესდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის მარიონეტულ მთავრობასა და რუსეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. უკვე ოთხი დღეა, ენგურის ხიდზე შეზღუდვებია დაწესებული ფეხით მოსიარულეებისთვისაც. ხიდზე მხოლოდ ავადმყოფებს ატარებენ. თუმცა, მოსახლეობა შემოვლითი გზით მაინც ახერხებს გადმოსვლას," - აღნიშნა თორნიკე კილანავამ.

*მედიანიუსი*

## ცხინვალის რეგიონში ჟურნალისტებს ემუქრებიან და უსწორდებიან

ოსი ბლოგერი ოსეტია ი ვოკრუგ: ვზგლიად იზნუტრი" იუწყება, რომ ცხინვალში ჟურნალისტებზე თავდასხმები გრძელდება. მორიგი ინციდენტი რამდენიმე დღის წინათ მოხდა, - ამ ინფორმაციას „მედია.გე" ავრცელებს.

ბლოგერს ნაცნობებმა შეატყობინეს, რომ ცხინვალში სახელისუფლებო გაზეთის „იუჟნაია ოსეტიას" გამომშვებ რედაქტორს ალან ბაზაევს სცემეს. ბაზაევს ფიზიკური შეურაცხყოფა სამხრეთ ოსეთის აღდგენის სამთავრობო კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ კაბისოვმა და მისმა პირადმა მცველმა მიაყენეს. როგორც ირკვევა, კაბისოვის გაღიზიანება გამოიწვია გაზეთში გამოქვეყნებულმა კრიტიკულმა სტატიამ „სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების შესახებ, რომელშიც კაბისოვის გვარიც ფიგურირებდა. ბლოგერი მკითხველს შეახსენებს, რომ უფრო ადრე ცხინვალში ჩამოყალიბებული მოძრაობა „სამშობლოს დამცველების" ლიდერი ამირან დიაკოვი დაემუქრა ცხინვალში ახლახან აღდგენილი გაზეთის „21 საუკუნის" რედაქტორ თემურ ცხოვრებოვს, რომელიც 2008 წლის აგვისტოში, რამდენიმე მოხალისესთან ერთად, თავგანწირვით ებრძოდა ქართულ ჯარებს. ოსი ბლოგერის ცნობით, ცხოვრებოვის ინციდენტამდე ერთი დღით ადრე კიდევ ერთ ცხინვალელ ჟურნალისტს მარია ფლიევას სამხრეთ ოსეთის კავშირგაბმულობის მინისტრი გიორგი კაბისოვი დაემუქრა.

*მედიანიუსი*

## საეკლესიო სიწმინდეები ხეობაში ჩამოაბრძანეს

ზემო აფხაზეთიდან გამოდევნილმა ბერებმა ხეობაში დარჩენილი სიწმინდეების ჩამობრძანება მოახერხეს. მამა გიორგი გურჩიანმა ზემო აფხაზეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის ჯვარ-ხატები ზუგდიდში ჩაიტანა. მან კოდორის ხეობაში ასვლა და იმ სიწმიდეების წამოღება შეძლო, რომლებიც მათ მონასტრიდან იძულებით გამოდევნის შემდეგ ადგილზე დაატოვებინეს. ღვთისმსახურმა ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი ენგურის ხიდზე გვიან საღამოს გადმოკვეთა.

*ინტერპრესნიუსი*

## ხანძრით დაზარალებულებს აფხაზეთის მთავრობა ეხმარება

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ მალხაზ აკიშბაიამ ბაგების სტუდქალაქში მცხოვრები დევნილები მოინახულა, რომლებიც ხანძრის შედეგად დაზარალდნენ. აკიშბაიასთან ერთად, დევნილებს აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი დალილა ხორავა, დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე თენგიზ ბენდელიანი და აფხაზეთის მთავრობის აღმოსავლეთის წარმომადგენლობის უფროსი დავით ცანავა ეწვივნენ. როგორც აკიშბაიამ განაცხადა, დაზარალებულებს კომპენსაციის სახით ათასლარიანი დახმარება გადაეცემათ, ხოლო მსუბუქად დაზიანებული საცხოვრებელი ბინების ბინადრებს - ხუთასი ლარი. ჯანდაცვის მინისტრ დალილა ხორავას ინფორმაციით კი, დღეს დილიდან დაზარალებულებს სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდებათ, მათთან ადგილზე მივა ექიმთა ჯგუფი და საჭირო მედიკამენტებს გადასცემენ.

ბაგებში, სტუდქალაქის მეოთხე კორპუსში ხანძარი შაბათს გაჩნდა, რის შედეგადაც დევნილების საცხოვრებელი ოთახები დაზიანდა.

*ინტერპრესნიუსი*

ნოდარ ლადარია

ინდოელი ქალი ცეცხლთან ჩაცუცქულა და ობიექტივში იცქირება მშვიდი და ოდნავ გაოცებული მზერით. ცეცხლი თიხის ქურაში გიზგიზებს, ზედ რაღაც ჯამია შედგმული, შორიახლოს მიწაზე დაულაგებია ღარიბული, იდუმალებით სავსე ჭურჭელი. იდუმალების შეგრძნებას კი ის ქმნის, რომ ნივთებს აშკარად არ ეტყობა სუპერმარკეტის დახლით ნაკურთხი კანონიერი წარმომავლობა. ნივთებს სხვა რამე ეტყობა: ხელით ნაკეთობის განუმეორებელი ხიბლი, მარადიული გამძლეობა... ფოტოს მარცხენა, ჩაბნელებულ მხარეს ვხედავთ წარწერას: "რთულია დაჯერება, რომ ყინული ამის გამო დნება".

საქართველოს პოლიტიკური ყოფის გადამკიდემ თავდაპირველად ის გავიფიქრე, რომ საქმე ეხება რაღაც საერთაშორისო თუ კულტურულ დიალოგს, რომელშიც გადამწყვეტი სიტყვა ქალებმა თქვეს, ან, თუ ქალებმა არა, უბრალო ხალხმა, ან, ბოლოს და ბოლოს, საუკუნეებით დადასტურებულმა კუსტარულმა წარმოებამ. გამიხარდა კიდეც: სადღაც ყინული გალღვა, რაღაც სასიკეთო დაიწყო...

მაგრამ 28 აპრილის "24 საათის" სქელი ნომრის ბლოკების ქექვა განვაგრძე და აღმოჩნდა, რომ ეს ფერადი ფოტო "ნიუ-იორკ ტაიმსის" ყოველკვირეული საერთაშორისო დამატებიდან იყო — ხელს ამოჰყვა მისი ინგლისური ორიგინალი.

იგივე ინდოელი ქალი, იგივე თიხის ღუმელი, იგივე ლითონის ჯამები, მაგრამ სულ სხვა წარწერა, რომლის საზრისი უკვე აღარ შეიცავს რაიმე ნუგეშს ან სიხარულს: "It's hard to believe, that this is what's melting the glaciers". ვთარგმნოთ: "ძნელი დასაჯერებელია, რომ სწორედ ეს ადნობს მყინვარებს". დიახ, არა მეტაფორულ "ყინულს", არამედ კონკრეტულ მყინვარებს: გნებავთ ჰიმალაების კლდოვან ფერდობებზე, გნებავთ არქტიკისა თუ ანტარქტიკის დამზრალ უდაბნოებში.

არა, უდავოდ სასიამოვნოა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გაზეთის ყოველკვირეული დამატების ორიგინალიცა და ქართული თარგმანიც მოგვივა. მაგრამ რატომ უნდა წავიკითხოთ მაინცდამაინც ასეთი თარგმანი? აბა, ფოტოს მეორე, ასე ვთქვათ, ახსნა-განმარტებითი მინაწერიც გავსინჯოთ: "კვლევების თანახმად პლანეტის დათბობის 18 პროცენტი საბუხრე მილებიდან გამოშვებული შავი ნახშირბადით არის გამოწვეული როგორც მაგალითად ინდიის სოფელ კოლუაში". როგორც თავმოკვეთილი არ მისტირის დაკარგულ ვარცხნილობას, ისე არც ჩვენ ვდარდობთ პუნქტუაციაზე — ჩვენ "ინდიაზე" უფრო გვტკივა გული.

ეს წარწერა ინგლისურად ასე გამოიყურება: "Black carbon — emitted by cookstoves like this one in Kohlua, India — is responsable for 18 percent of the planet's warming, studies estimate". წარწერის თარგმანი ასეთი უნდა იყოს: "კვლევების შეფასებით, პლანეტის დათბობის 18 პროცენტზე პასუხისმგებელია ჭვარტლი, რომელსაც ჰაერში უშვებს საცხობი ღუმელები — დაახლოებით ისეთი, როგორიც ინდოეთის სოფელ კოლუაშია".

რაო, გრძელია? მაშინ ასე, ვთარგმნოთ, უფრო ლაკონურად: "კვლევები გვიჩვენებს: გლობალური დათბობის 18 პროცენტს განაპირობებს ყოფითი ჭვარტლი: ისეთი, როგორიც ინდოეთის სოფელ კოლუაში გამოდის საცხობი ღუმელიდან". თარგმანი გაბედული უნდა იყოს და არა თავხედი: აზრს უნდა გადმოგვცემდეს და არა სიტყვების სალექსიკონო მნიშვნელობას. ამ უკანასკნელთანაც არაა საქმე მთლად კარგად: რა არის "შავი ნახშირბადი"? ან სად შეამჩნია მთარგმნელმა "საბუხრე მილი"? თანაც გაზეთში დაბეჭდილი წინადადება იმას გვკარნახობს, რომ მიკარგული სოფელი კოლუა იმიტომ კი არ არის ნახსენები, რომ იქ ის უბადრუკი ქურა თუ ღუმელი თუ საბუხრე მილია, არამედ იმიტომ, რომ სწორედ მასზე, მაინცდამაინც სოფელ კოლუაზე მოდის გლობალური დათბობის 18 პროცენტიანი წილი!

ეს როდი აკმარეს საწყალ კოლუელებს! — "Women in ragged saris of a thousand hues" (ათასფერ გაცვეთილ სარიში გამოწყობილი ქალები) ითარგმნა როგორც "ქალები ჭრელ და დახეულ ფართუკებში". ყველაფერი ლოგიკურია: ინდოეთში ქალებს სარი აცვიათ — "ინდიაში" კი "ფართუკი".

ახლა კი "ღამის შოუს" ერთი მივიწყებული რუბრიკა გავიხსენოთ და "ჰედლაინებს" გადავავლოთ თვალი:

"წამება — უშუალო შეხებით გამოწვეული დანაშაული" (Torture: Violence with a Personal Touch) — უნდა იყოს: "წამება — ინდივიდუალური სახის მქონე ძალადობა".

"ცხენმა, რომლისგანაც ბევრს არაფერს ელოდნენ, პატრიოტიზმის ტალღა ააზვირთა" (From an Unlikely Thoroughbred, a Wave of Patriotism) — უნდა იყოს: "პატრიოტიზმის ტალღა უპერსპექტივო ბედაურისაგან".

"ჩინეთი ლათინურ კავშირებს უხმაუროდ აღრმავებს" (Quietly, China Builds Latin Bonds) — უნდა იყოს: "ჩინეთი მშვიდად ამყარებს კავშირებს ლათინურ ამერიკასთან", ან, თუ სტატიის კონტექსტი სხვანაირ აქცენტს გულისხმობს: "ჩინეთი თვალსა და ხელს შუა ამყარებს კავშირებს ლათინურ ამერიკასთან". მთავარი კი ისაა, რომ "ლათინური კავშირი" არაფერს ეუბნება ქართველ მკითხველს. ცოტა რამაა, რასაც ჩვენ პირდაპირ და უკომენტაროდ დავუკავშირებდით ზედსართავს "ლათინური": ენა, იალქანი, საღვთისმსახურო წესი... კიდევ რა? სიტყვა "კავშირი" ნამდვილად მოითხოვს უფრო დეტალურ დაზუსტებას.

"კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში მესამე სამყაროდან წამოსული ჭვარტლი ახალი სამიზნე ხდება" (Soot from Third-World Stoves is New Target in Climate Fight) — უნდა იყოს: "ჭვარტლი მესამე სამყაროს ღუმელებიდან — კლიმატისათვის ბრძოლის ახალი სამიზნე". სანამ სიტყვა soot არ დაინახეს, მანამ ვერ მიხვდნენ, რომ ჭვარტლს ეხება საქმე! მაგრამ გამოტოვეს მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა stoves, რომლის გარეშე ფრაზის პოლიტკორექტულობა საგრძნობლად მცირდება: "მესამე სამყაროდან წამოსული ჭვარტლი"!

"მოცეკვავე, ახლა მხოლოდ საკუთარ ოცნებებში" (Still Dancing in her Dreams) — უნდა იყოს: "სიზმრებში ის ახლაც ცეკვავს". საქმე ეხება უიმედოდ დამბლადაცემულ ჩინელ მოცეკვავეს, ამიტომ ამ კონტექსტში "ოცნებას" ჯობია "სიზმარი".



თარგმანს ეშველება... უზომო ოპტიმიზმი არაა საჭირო ამ დასკვნის გამოსატანად: საკმარისია ოდნავი პასუხისმგებლობა და მომთხოვნებლობა. მით უმეტეს, რომ არსებული ვითარების აუტანლობა ცხადზე უცხადესია. ჩვენ სხვა შეკითხვა უნდა დავსვათ: რატომ გახდა ასეთი ვითარება შესაძლებელი?

რა თქმა უნდა, ამ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი არსებობს და მასზე პასუხი და საქმის გამოსწორება ჩვენი საქმე არაა. სამაგიეროდ, ჩვენი საქმეა განზოგადება. განზოგადების ასპარეზი კი ის სიძნელეებია, რომელსაც ქართველი აწყდება ტექსტის გაგებისას და, მით უმეტეს, მისი განმარტებისას.

აი, ერთი მაგალითი: მსახიობმა დიმიტრი ჯაიანმა მიტინგზე წაიკითხა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის (ო, რა საყვარელი სიტყვაა ეს "ნაწილი"!) განცხადება, სადაც ხელისუფლების შეცდომებს შორის ნახსენებია ერთ-ერთი: 2009 წლის 7 იანვარს სამების საკათედრო ტაძარში გამოსვლისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახსენა "მრავალეთნიკური ქართველი ერი". ახლა ვნახოთ, ამ სიტყვების როგორი ინტერპრეტაცია, ანუ თარგმანი გააშანშალა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა: "თურმე საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები - თუშები, აჭარლები, კახები თუ სხვები სხვადასხვა ერი ყოფილა. ეს გვაჩვენებს, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცუდ ხელისუფლებასთან, არამედ მტერ ხელისუფლებასთან". მაპატიეთ ბანალობისათვის, მაგრამ სიტყვაშეთანხმება "ქართველი ერი" ნიშნავს საქართველოს მოქალაქეთა ერთობლიობას. შესაბამისად, დედამიწაზე ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები, რომლებიც ვერ იღებენ მონაწილეობას ქართველი ერის ცხოვრებაში, მაგრამ ასევე არიან სხვა ეთნიკური იდენტობის მქონე ადამიანები, რომლებიც ქართველ ერს მიეკუთვნებიან.

"ნიუ იორკ ტაიმსის" ზემოთ განხილული ქართული თარგმანის ხარისხის დასადგენად სულაც არაა საჭირო ინგლისური ენის ცოდნა. მთარგმნელის არაკომპეტენტურობა აქ მხოლოდ სრულიად უვიცი ადამიანისათვის დარჩება დაფარული. ზუსტად იგივე მდგომარეობაა ზემოთ მოყვანილი განცხადების შემთხვევაშიც: ქართველი ერის რიგებიდან გამორიცხეს ყველა, ვინც კი ქართველ ერსა და ქართულ სახელმწიფოს შორის უშუალო კავშირს ხედავს და აღიარებს; დამშლელად და დამნაწევრებლად შერაცხეს ტექსტი, რომელიც ინტეგრაციასა და კონსოლიდაციას ემსახურება.

მაგრამ არის თარგმანთან დაკავშირებული სხვა, უფრო მძიმე პრობლემაც: ასე ვთქვათ, სიმულაციური თარგმანი, ანუ თარგმანი, რომელიც დამოუკიდებელ და, უფრო მეტიც, განსხვავებულ ტექსტად გვაჩვენებს თავს.

1 მაისის ნომერში ვხვდებით ლაშა ბუღაძის ჩანახატს. აქ მიხეილ სააკაშვილს სიზმარში გამოეცხადება ილია ჭავჭავაძე, რომელიც რჩევებს აძლევს და მოთხოვნებს უყენებს საქართველოს პრეზიდენტს. ეს გარემოება გამოიხატება ტექსტის ერთგვარ სტილიზაციაში, რომლის ნიმუში ილიას პროზაში უნდა ვიგულიხმოთ. მართალია სტილიზაცია არც მთლად უზადოა: არ იტყოდა ილია, რატომ მოაჯდნენო — იტყოდა, რატომ მოასხდნენო. მაგრამ აქ სხვა რამეა მთავარი: აზრობრივად ტექსტი წარმოადგენს მოპროტესტე ოპოზიციის მოთხოვნათა სრულ თარგმანს ენაზე, რომელიც ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ ილიასია.

ანუ, ისევე როგორც ჩიქორთულ ენაზე გადმოცემული "ნიუ იორკ ტაიმსის" შემთხვევაში, გვთავაზობენ დავიჯეროთ სამი რამ:

1. რომ თარგმანის ენა ადეკვატურია: პირველ შემთხვევაში — ქართული ("ინდია", "ფართუკი"), მეორეში კი ილიასეული ("მოაჯდნენ").

2. რომ ორიგინალიც ისეთია, როგორადაც თარგმანი წარმოგვიდგენს: პირველ შემთხვევაში — თითქოს ამერიკულ გაზეთში ისეთივე სისულელეები წერია; მეორე შემთხვევაში — თითქოს ილია ჭავჭავაძე, ცოცხალი რომ ყოფილიყო, "გრეჩიხა ჯუნიორის" რუპორი იქნებოდა.

3. რომ გადმოცემის არხი ხარისხიანია: პირველ შემთხვევაში მთარგმნელის კომპეტენცია უნდა დავიჯეროთ, მეორეშე კი ლაშა ბუღაძის ნეიტრალურობა.

ერთი სიტყვით, თარგმანში დაკარგულს რას დავეძებთ, ჩვენი პრობლემა თარგმანში ნაპოვნია!

გასდით მთარგმნელებსა და თარჯიმნებს. ან კი როგორ არ გაუვათ, როცა ირგვლივ სულ დოყლაპიები ახვევიათ. ამ რამდენიმე დღის წინ ერთი დისკუსია გაიმართა ჩემ თვალწინ. უფრო სწორად, დისკუსია კი არა, საყოველთაო აღფრთოვანება იყო ირაკლი ალასანიას მიერ გამოთქმული დიალოგისათვის მზადყოფნის გამო. ერთხანს თვალს ვადევნებდი, მერე კი ვიკითხე, ამ სავარაუდო დიალოგში ირაკლი ალასანია ვის წარმოადგენს-მეთქი?

ვინ გამოიცნობს, რა მიპასუხეს? — არა, სრულიად სერიოზულად მიპასუხეს, ხუმრობით კი არა: ვის წარმოადგენს და მომიტინგეთა ნაწილსო...

# "საქართველოს ბანკის" "მწვანე ანაბრის" აქცია მზეთამზეში

## ბორჯომის ხეობაში კიდევ 30 000 ნერგი დაირგო

მანანა ვარდიაშვილი

"საქართველოს ბანკმა" "მწვანე ანაბრის" აქციის ფარგლებში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ ბორჯომის ხეობაში ტყის განაშენიანების მეორე ეტაპი დაიწყო. 2 მაისს ბანკის თანამშრომლებმა და მეანაბრეებმა დაბა წაღვერის სოფელ მზეთამზეში, სატყეო დეპარტამანტის მიერ გამოყოფილ 6 ჰექტარზე ფიჭვის, სოჭის, კედარის, იფანის, ნეკერჩხლისა და კაკლის ჯიშის 30 000 ნერგი დარგეს. ნერგების დარგვასა და შემდგომში მათ 4-წლიან მოვლაზე "საქართველოს ბანკი" 309 662 ლარს დახარჯავს.

ნერგების დარგვისთვის ყველა საჭირო სამუშაო ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტის რეკომენდაციით განხორციელდა: ტყის განაშენიანებისთვის გამოყოფილი ფართობი შემოიღობა და გაიწმინდა. შემდეგ ეტაპზე ნიადაგი მოამზადეს - მიწა გათოხეს და ორმოები ამოიღეს. ნერგების დარგვასა და მორწყვაში ბანკის თანამშრომლებთან ერთად მეანაბრეებიც მონაწილეობდნენ. განაშენიანებული ტერიტორია მოვლას შემდეგი 4 წლის განმავლობაშიც საჭიროებს. 2012 წლამდე ახლადდარგული ნერგების გახარებისთვის საჭირო ყველა სამუშაოს "საქართველოს ბანკი" დააფინანსებს.

მთელი 4 წლის განმავლობაში ტერიტორია დაცვით უზრუნველყოფილი იქნება. განაშენიანების შედეგად 50 წელიწადში ამ ადგილზე სრულყოფილი ტყე იქნება.

"მწვანე ანაბარი" ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას მომხმარებლის მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. "მწვანე ანაბრის" აქციის ფარგლებში ხეების დარგვა "საქართველოს ბანკმა" 2008 წლის ნოემბერში დაიწყო. პირველ ეტაპზე დაბა წაღვერში 30 000 კვ. მეტრის ფართობზე 15 000 ნერგი დავრგეთ და ტყის განაშენიანებისთვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად ბანკმა 180 000 ლარი გაიღო. ახლა მეორე ეტაპს ვიწყებთ. სატყეო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილ 6 ჰექტარზე 30 000 ნერგის დარგვისა და მოვლისთვის "საქართველოს ბანკი" 309 662 ლარს დახარჯავს. დარგული ხეების მოვლის ყველა საჭირო ღონისძიებას მომდევნო 4 წლის განმავლობაში ბანკი უზრუნველყოფს", - ამბობს "საქართველოს ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მენეჯერი სოფო ბალავაძე.

სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე პაპუნა ხაჩიძე მიიჩნევს, რომ ამ ადგილის განაშენანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: "საქართველოს ბანკმა" ტყის განაშენიანების მიზნით 6 ჰა. მიწის გამოყოფის თხოვნით მოგვმართა. სატყეო დეპარტამენტმა ეს ადგილი შეარჩია. დასარგავად კი ენდემური ჯიშები - ფიჭვი, სოჭი, კედარი, იფანი, ნეკერჩხალი და კაკალი შევარჩიეთ. ეს ის მცენარეებია, რომლებიც ახლომახლო ტყეებშია გაბატონებული. 4 წლის განმავლობაში ამ ნარგავების მოვლას "საქართველოს ბანკი" დააფინანსებს. ნებისმიერ ადგილზე ტყის განაშენიანება საშვილიშვილო საქმეა. ამ ადგილს კი მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს გაჩენილი ხანძრის გამო აქ ტყის ძალიან დიდი ფართობი გადაიწვა", - ამბობს პაპუნა ხაჩიძე.

"დღეს აქ მთელი ოჯახით მოვედით. ჩვენი სახელით 8 ხე დაირგვება. რუსმა სამხედროებმა ტყე გადაგვიწვეს. ჩვენ დღეს ახალ ტყეს ვუყრით საფუძველს - ესეიგი მომავლის იმედი გვაქვს და ეს ძალიან მახარებს", - ამბობს "საქართველოს ბანკის" მეანაბრე მადონა ბუღაშვილი.

"საქართველოს ბანკმა" "მწვანე ანაბარი" რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად განადგურებული ტყის აღდგენისა და მომავალი თაობებისთვის მისი შენარჩუნების მიზნით 2008 წლის სექტემბერში შექმნა. 500 ლარის (ან მეტი) მოცულობის ვადიანი ან საბავშვო ანაბრის გასნის შემთხვევაში "საქართველოს ბანკი" მეანაბრის სახელზე ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში ხეს რგავს. ყველა ახლად დარგულ ხე ინომრება, ხოლო მეანაბრეს მის სახელზე დარგული ხის ნომერი და შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცემა. ამრიგად, თითოეულ ახალ მეანაბრეს შესაძლებლობა ეძლევა ქვეყნის მომავალზე ზრუნვის საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანოს. მეანაბრეებს განაშენიანებული ტერიტორიის ამსახველი ელექტრონული რუკის მეშვეობით საკუთარ სახელზე დარგული ხის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა შეუძლიათ. რუკის ნახვა შესაძლებელია როგორც ბანკის ვებგვერდიდან - www. sb24. ge, ასევე საგანგებოდ გახსნილი ვებგვერდიდან www.greenderosit.ge. რუკით სარგებლობისთვის მეანაბრემ "მწვანე დეპოზიტის" გახსნისას მიღებული სერტიფიკატის ნომერი უნდა მიუთითოს.

# ამერიკაში ოქროს ციებ-ცხელება იწყება

ლიკა ჭობაძე

*ის, რომ მსოფლიო 1929 წლის დიდი დეპრესიის პერიოდს დაუბრუნდა, აღარივის უკვირს. თუმცა, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები სულ სხვა ისტორიულ რეალობას აცოცხლებს. დღეს უკვე საუბრობენ იმაზე, რომ დღევანდელ მსოფლიოში 1846 წლების მოვლენები მეორდება.*

1840-იან წლებში ათასობით ილბალზე მონადირე კალიფორნიას მიაწყდა. ამ დროს, აქ ოქროს საბადოები გაიხსნა და მათაც უკეთესი მომავლის იმედი ჩაესახათ.

ამ პერიოდის ამსახველ ფოტოებში, ხშირად გვხვდება მუხლამდე წყალში მდგარი ადამიანები, რომელნიც ოქროს ზოდების აღმოჩენის იმედით ქვიშას რეცხავენ.

ამერიკის შეერთ ბული შტატების ოქროსმაძიებელთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ ამერიკა კვლავ ოქროს ციებ-ცხელების ახალი ეტაპის დაწყების წინაშე დგას.

ასოციაციის მონაცემებით, ჯერ მარტო გასულ წელს, ორგანიზაციის მონაწილეთა რაოდენობა 20%-ით გაიზარდა. ექსპერტები ამ მოვლენას ეკონომიკური კრიზისითა და ოქროს გაძვირებით ხსნიან.

**თავდაპირველად ამ საქმეს ყველა ჰობის დონეზე იწყებს, შემდეგ კი სულ უფრო მეტის და მეტის იმედი უჩნდებათ. რაც უფრო მეტს სწავლობ ამ საქმეში, მით უფრო წარმატებული ხდები** - განაცხადა ბი-ბი-სისთან ინტერვიუში ასოციაციის წევრმა კორი რუდოლფმა.

ოქრო, რომელზეც ასე აქტიურად ნადიროებენ, საშუალო ზომის ნაჭრებს წარმოადგენს, რომელნიც მდინარის ფსკერზე მოიპოვება.

ოქროსმაძიებელთა ასოციაციაციას, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მდიდარ კალიფორნიის შტატში ოქროს მოპოვებაზე ლიცენზიის მოპოვების ინიციატივით 3000-მა ადამიანმა მიმართა. თუმცა მხოლოდ ამ ციფრით ვერ ვიმსჯელებთ, რადგან აშშ-ს ბევრ რეგიონში ოქროს მოპოვება ლიცენზიის გარეშეც ხდება.

### რეკორდული მაჩვენებელი

უნცია ოქროს რეკორდული ფასი - 1011 დოლარი გასული წლის მარტში დაფიქსირდა. ამ დროიდან დღემდე ეს ძვირადღირებული მეტალი 900 დოლარად იყიდება.

მასზე მოთხოვნილების ფაზრდა ინვესტორების დაინტერესებამ განაპირობა. ფინანსურ ბაზრებზე არსებული ქაოსური ვითარების ფონზე, ისინი ოქროს კაპიტალდაბანდების ყველაზე საიმედო საშუალებად აფასებენ.

რუდოლფი ოქროს 30 წელია მოიპოვებს. ის ამბობს, რომ ის როგორც წესი ალიასკზე ზაფხულობით მიემგზავრება, სადაც ერთ მშვენიერ ზახულს, ოთხ კვირაში 60 უნცია ოქრო მოიპოვა. მაშინდელი ფასით, მონაპოვარის ღირებულება 53 ათასი დოლარი იყო.

**ბევრს ნებისყოფა არ ყოფნის და უნდა ძალიან მალე მიაგნოს ოქროს. პირველივე ცდაზე მხოლოდ ერთეულებს უმართლებთ. იმისთვის, რომ ბევრი ოქრო მოიპოვო, პატარ-პატარა საიდუმლოებები უნდა იცოდე, რომელიც გამოცდილებას მოაქვს.** - ამბობს რუდოლფი.

ალიასკის გარდა, ოქროთი მდიდარია არიზონას შტატი, ვაშინგტონი და ნიუ-მექსიკო.

ოქროს ციებ-ცხელების ეპოქის დადგომას პირველ რიგში გარემოს დაცვითი ორგანიზაციების მხრიდან მოყვება ხმაური. იმ დროს, როცა ერთი მაძიებელი ოქროს მხოლოდ უბრალო ჯოხით ეძებს, სხვა ისეთ დანადგარებს იყენებს, რაც მდინარეს აბინძურებს. ეკოლოგები ფიქრობენ, რომ ოქროს მომპოვებელთა რაოდენობის ზრდა მდინარის ფაუნას სერიოზულ ზიანს მიაყენებს.

# ღორის გრიპმა ნავთობი გააიაფა

ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასი 50 დოლარამდე დაეცა. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ნავთობის ფასი მსოფლიო ვალუტებთან მიმართებაში ამერიკული დოლარის კურსის გამყარებისა და ღორის გრიპით დაავადებულთა რაოდენობის ზრდას უკავშირდება.

გასული კვირის მიწურულს ბარელი შავი ოქროს ღირებულება 1,4 დოლარით შემცირდა და 50 დოლარამდე დაეცა. ექსპერტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დოლარის კურსის ზრდის პირობებში, ინვესტორბისთვის ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობის კონტრაქტების ყიდვა ბევრად უფრო სახარბიელოა.

ნავთობის ფასის დაცემაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ღორის გრიპით ინიფიცირებულთა რიცხვის ზრდამაც. საქმე იმაშია, რომ ვირუსის გავრცელების შედეგად სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს უარი თქვას საზღვრის გადაკვეთაზე. ამან კი თავის მხრივ ავიაბილეთებზე მოითხოვნილება შეამცირა.

პრაიმ-ტასის ინფორმაციით, ოპეკის გენერალური მდივანი აბდალა ალ-ბადრიმ განაცხადა, რომ ნავთობკარტელის სურვილი იყო, ბარელი ნავთობის ფასი 70 დოლარიან მინიმუმზე შეჩერებულიყო. ბარელი ნავთობის ფასი - 50 დოლარი ძალიან მინიმალურია. ეს ფასი ნავთობმომპოვებელ სექტორში ინვესტიციისთვის არასაკმარისია.` - აღნიშნავს ნავთობკარტელის გენერალური მდივანი.

მეუღლე ცისანა ბულისკერია, შვილები უტა და რუზგენი, დედა ზინა, მამა ჯუმბერი, ცოლის ძმა ვახტანგი, ცოლის და ირინა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილებიოჯახებითიუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თენგიზ ჯუმბერის ძე ქარდავა**

პანაშვიდი: 3,4 მაისს 17 საათზე
გასვენება: 5 მაისს 15 საათზე
მისამართი :ვაჟა-ფშაველას პრ. 42 (მეტრო "დელისი") II სად. VI სართ.

## სასამართლომ დავა რიგითი მოქალაქეების სასარგებლოდ დაასრულა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კომანდიტური საზოგადოება "აბაშიძე და პარტნიორები"-ს სარჩელი, მოპასუხე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ.

სასამართლომ ბათილად ცნო თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზეც, კომანდიტურ საზოგადოებას საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმის სახით 18 200 ლარი დაეკისრა.

## ომბუდსმენის მიმართვა იუსტიციის მინისტრს

სოზარ სუბარი ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს.

ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული არაადამიანური მდგომარეობის შესწავლისა და ფაქტებზე რეაგირების მიზნით, სოზარ სუბარმა საქართველოს იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს და სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს ამ ფაქტების გამოძიება მოთხოვა.

ომბუდსმენის განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები პატიმრების მხრიდან პრეტენზიების გამოთქმისა და საჩივრების დაწერის შემთხვევაში განსაკუთრებულ აგრესიას გამოხატავენ.

"სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები პატიმრების მხრიდან პრეტენზიების გამოთქმისა და საჩივრების დაწერის შემთხვევაში განსაკუთრებულ აგრესიას გამოხატავენ, ვინაიდან არ არის დაცული კონფიდენციალობა. პატიმრები, რეპრესიების შიშით, ხშირად უარს ამბობენ უფლებაზე, შეიტანონ საჩივარი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე.

შესაბამისად, უხეშად ირღვევა პატიმრების მინიმალური სტანდარტებით დადგენილი წესები," - განმარტავს ომბუდსმენი.

მისივე თქმით, ხმამაღალი საუბარი, სიცილი, თუნდაც სარკმელთან მისვლა და გისოსებზე სარეცხის გაფენა ადმინისტრაციის, კონკრეტულად კი სარეჟიმო განყოფილების მხრიდან მკაცრ ზემოქმედებას იწვევს.

"შინა განაწესის დარღვევისას მთელი საკანი ისჯება, ძირითადად ფიზიკური ზემოქმედების გზით. პატიმრები დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან მოპყრობის გამკაცრებასა და გაუქმებაზე, უფრო ზუსტად კი, არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობენ", - აცხადებს სოზარ სუბარი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# გახმაურებულ მკვლელობაზე სასამართლომ განაჩენი დაადგინა

*2009 წლის 1 მაისს ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2006 წლის 29 ივლისს დაბა სურამში მოკლული ირაკლი ჩაკვეტაძის მკვლელობის ფაქტზე განაჩენი დაადგინა. სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს აღნიშნული საქმე ხშირად იყო მედიის მიმოხილვის ობიექტი. სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული განაჩენი კი სრულად ასახავს, როგორც საქმის დეტალებს, ასევე სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, - ნათქვამია უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გამოგზავნილ პრესრელიზში, რომლითაც სასამართლო პასუხობს 24 საათში მანაშვილის საქმესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალას, სადაც განსასჯელის ადვოკატი აცხადებდა, რომ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიება არაობიექტურად ჩატარდა. ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, არსებობს არა ერთი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ გამოძიებამ მანაშვილის საქმის ფალსიფიკაცია მოახდინა, ხოლო სასამართლო არ ეცადა ობიექტურად ჩაეტარებინა პროცესი . ამჯერად, გთავაზობთ, უზენაესი სასამართლოს არგუმენტებს ხაშურის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე.*

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, სასამართლომ აღნიშნული მკვლელობის საქმეში დამნაშავედ დავით მანაშვილი ცნო. სასამართლომ სრულად გამოიკვლია საქმის მასალები, დაკითხა მოწმეები და წარმოდგენილი მასალების გაანალიზების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მკვლელობა დავით მანაშვილმა ჩაიდინა.

სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ 2006 წლის 29 ივლისს ცეცლსასროლი იარაღით შეიარაღებული დავით მანაშვილი, ძმასთან ლაშა მანაშვილთან ერთად, დაახლოებით 21 საათზე მივიდა დაბა სურამში, იმ სახლთან, სადაც ირაკლი ჩაკვეტაძე ცხოვრობდა და პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მას.

საქმის მასალების თანახმად, მკვლელობის მიზეზი დავით მანაშვილის მხრიდან მოკლულის მიმართ ეჭვიანობა გახდა, რადგან მოწმეთა ჩვენებით ირკვევა, რომ დავით მანაშვილს თბილისში მცხოვრები გოგონა მაია ჩ-ე მოსწონდა, რომელიც დაბა სურამში წლების მანძილზე ისვენებდა და რომელსაც ასევე მოკლულ ირაკლი ჩაკვეტაძესთან ჰქონდა ნაცნობობა.

განსასჯელის დაცვის მთავარი არგუმენტი მოწმე მაია ჩ-ძის ის ჩვენება გახდა, რომელიც მან სასამართლოს მისცა და სადაც მოწმე ამბობდა, რომ არც დავით მანაშვილი და არც მოკლული ირაკლი ჩაკვეტაძე მისი შეყვარებულები არ ყოფილან, და შესაბამისად, მანაშვილს ვინმეზე საეჭვიანო არც არაფერი ჰქონდა.

თუმცა, მანამდე მოწმე მაია ჩ-ძემ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში დაადასტურა, რომ დავით მანაშვილი მისი შეყვარებული იყო და მას აგრესიული და ეჭვიანი ხასიათი ჰქონდა.

მაია ჩ-ძისგან განსხვავებით, სასამართლოზე დაკითხული სხვა მოწმეების ჩვენება თანამიმდევრულია და განსასჯელის ბრალეულობას ადასტურებს. კერძოდ, ერთ-ერთი მოწმე, რომელიც მოკლულის მეგობარია, სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში ადასტურებს, რომ მან იცოდა გოგონას გამო არსებული კონფლიქტის შესახებ და შეესწრო კიდეც ერთ-ერთ ასეთ კონფლიქტურ სატელეფონო საუბარს. იგივე კონფლიქტს ადასტურებენ სხვა მოწმეებიც. მსჯავრდებულის ბრალეულობა ასევე დასტურდება მოკლულის დედის, დის და შემთხვევის ადგილას მყოფი ადგილობრივი მცხოვრებლების ჩვენებებით. მოწმეებმა საგამოძიებო პროცესის დროს ამოიცნეს როგორც მსჯავრდებული, ასევე მისი ძმაც.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეებიც. ორი ქალბატონის ჩვენებით, მკვლელობის დღეს, მას შემდეგ რაც ისინი ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ, გაიგონეს გასროლის ხმები და დაინახეს ორი უცხო პირი, რომლებიც მორბოდნენ, და რომლებმაც ქალბატონებს უპასუხეს, რომ მოსაკლავად მოსდევდნენ. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი უცხო პირების აღწერილობა არ ემთხვევა დავით და ლაშა მანაშვილების აღწერილობას. შესაბამისად დაცვის მხარე სასამართლოს სთხოვდა ამ მოწმეების ჩვენების თანახმად, ეჭვქვეშ დაეყენებინათ ბრალდების მიერ წარმოდგენილი იმ მოწმეების ჩვენება, რომლებიც მკვლელობის ფაქტის შემსწრენი გახდნენ და რომლებმაც დავით და ლაშა მანაშვილები ამოიცნეს. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა დაცვის მხარის ის ალიბი, რომელიც მანაშვილების მეზობლად მცხოვრები ორი ქალბატონის ჩვენებას ეყრდობა და რომლის თანახმადაც, დავით და ლაშა მანაშვილები მთელი საღამოს მანძილზე მათ გვერდით იყვნენ და შემდეგ ბებიის ავადმყოფობით შეწუხებული ოჯახი თბილისში გააცილეს. სასამართლომ დაცვის მიერ წარმოდგენილი აღნიშნული მტკიცებულებები საქმეში არსებულ სხვა მოწმეთა ჩვენებების გასაბათილებლად საკმაო ძალის მქონე მტკიცებულებად არ მიიჩნია.

"დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ეს მტკიცებულებები სასამართლომ არ მიიჩნია ისეთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად, რასაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა სასამართლოს შემავჯამებელ გადაწყვეტილებაზე. მით უმეტეს, როცა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილმა მოწმეებმა დამაჯერებლად ვერ ახსნეს, რამ განაპირობა მათთვის ერთი ჩვეულებრივი დღის ისე დამახსოვრება, რომ შემთხვევიდან თითქმის წელინადის გასვლის შემდეგ შეძლეს ასეთი სიზუსტით (წუთებზე მითითება) მისი გახსენება. აღნიშნული გარკვეულწილად ეჭვქვეშ აყენებს მანაშვილების ოჯახის მიერ სურამის მოულოდნელად დატოვების და თბილისში გამგზავრების დაცვის მხარის მიერ დასახელებულ მოტივს," - ვკითხულობთ სასამართლს განაჩენში.

სასამართლო გამოძიების დროს ყურადღებით იქნა გამოკვლეული საექსპერტო დასკვნებიც, დაიკითხა შესაბამისი დარგის სპეციალისტებიც. გამოკვლევების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იარაღი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია გასროლისთვის, ხოლო შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრები გასროლილია წარმოდგენილი იარაღიდან.

სასამართლომ დავით მანაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალი - განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა და ტარებაში, დადასტურებულად ჩათვალა.

სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, ის რომ, დავით მანაშვილი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა და იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო არასრულწლოვანი. საბოლოოდ, სასამართლომ დავით მანაშვილს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

*უზენაესი სასამართლოს*
*პრესსამსახური*

# პროკურორებისა და სკოლის მოსწავლეების შეხვედრა

პროკურორებმა ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სემინარები ჩაუტარეს. სემინარი შეეხებოდა ხულიგნობის, ძალადობის, ტრეფიკინგის საკითხებს. მოსწავლეებმა შეიტყვეს, კანონის რა მუხლებით ისჯება დამნაშავე და რა შეზღუდვები არსებობს ნასამართლევი ადამიანების მიმართ.

პროგრამა მოზარდებისთვის უკვე ერთი თვეა ხორციელდება, სემინარები ქალაქის რამდენიმე საჯარო სკოლაში ერთდროულად ტარდება. მოგვიანებით კი პროკურორები რაიონებში გადაინაცვლებენ და მსგავსი სახის გაცნობით გაკვეთილ-სემინარებს ჩაატარებენ.

პროექტის მიზანია, მოხდეს ახალგაზრდა თაობის ინფორმირება. მოსწავლეები აცხადებენ, რომ ბევრი დანაშაულის შესახებ, რომელიც კანონით ისჯება, არაფერი იციან.

პროგრამის ფარგლებში მოხდება პროკურატურის, საპატრულოსა და სხვა ძალოვანი უწყების შენობების დათვალიერება. სემინარებს აჭარის მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელიც ესწრებოდა.

პროგრამა კიდევ ერთ თვეს გაგრძელდება და თითქმის ყველა საჯარო სკოლას მოიცავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*


## მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს "დავების განმხილველი ცენტრის"

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N209-3**

**ქ. თბილისი, 2009წ. 29 აპრილი**

**მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს დავების განმხილველი ცენტრის" არბიტრი როინ მიგრიაული**

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი**

მუდმივმოქმედ არბიტრაჟში 2009 წლის 16 აპრილს წარმოდგენილი იქნა პრეტენდენტ **სს ბანკი რესპუბლიკას"** (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქ. N2) წარმომადგენლის ნინო ბაქაქურის, კს "ნოდია და პარტნიორების" ადვოკატის (მცხოვრები ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი) საარბიტრაჟო პრეტენზია.

საარბიტრაჟო პრეტენზიის მოპასუხეები არიან:

1. **შპს "ჯი-თი-ერ",** ადგილმდებარეობით: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N29;
2. **თამაზ ზაკუტაშვილი**, მცხოვრ. ქ. თბილისი, პაატა სააკაძის (ყოფილი ხრამჰესის) ქ. 35,
3. **რამაზ ანთიძე**, მცხოვრ. ქ. თბილისი, ლიახვის ჩიხი. N7;
4. **გიორგი ქველიაშვილი**, მცხოვრ. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N75, ბინა 16,
5. **გიორგი კირთავარი**, მცხოვრ. რუსეთი, მოსკოვის ოლქი, ქ. ხივკი, სტროიტელის ქ. N5ა, ბინა 96, წარმომადგენლები: 1. გივი ყუფარაშვილი, მცხოვრ. სიღნაღის რ-ნი სოფ. ნუკრიანი, 2. იოსებ ჯორბენაძე, მცხოვრ. ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. N100

**საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენის საფუძველია** მხარეებს შორის 2008 წლის 13 მაისს გაფორმებული „კრედიტების, ოვერდრაფტების და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ" გენერალური ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი, 2008წ. 4 სექტემბერს გაფორმებული „საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ" ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და 2008წ. 1 და 2 ივლისს გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი. **საარბიტრაჟო მოთხოვნის საფუძველია** „კრედიტების, ოვერდრაფტების და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ" 2008 წლის 13 მაისის გენერალური ხელშეკრულება, „საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ" 2008წ. 4 სექტემბრის ხელშეკრულება და 2008წ. 1 და 2 ივლისის იპოთეკის ხელშეკრულებები. **დავის საგანს წარმოადგენს** მოპასუხეებს: შპს „ჯი-თი-ერ"-ს, თამაზ ზაკუტაშვილს, გიორგი ქველიაშვილსა და რამაზ ანთიძეს სოლიდარულად დაეკისროს 230 859,32 ლარის გადახდა, დადგინდეს თავდები პირების თამაზ ზაკუტაშვილის, რამაზ ანთიძის, გიორგი ქველიაშვილის უძრავ-მოძრავი ქონების, აგრეთვე იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

მოპასუხეებს საარბიტრაჟო პრეტენზია გაეგზავნათ 2009წ. 21 აპრილს, რომელიც მათ დადგენილი წესით ჩაბარდათ. მიმაჩნია, რომ საქმე მომზადებულია განსახილველად

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი**

ვიხელმძღვანელე რა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს "დავების განმხილველი ცენტრის" დებულების 6.1, 6.6, 16.2 და 24.7 მუხლებით:

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

1. საქმის განხილვა დაინიშნოს 2009წ. 12 მაისს 16:00 საათზე,
2. სხდომის თარიღის შესახებ მხარეებს ეცნობოთ არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესით
3. აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ 24 საათში.

შპს "დავების განმხილველი ცენტრის"

არბიტრი როინ მიგრიაული ----------

# სავაჭრო სანქციები ღორის გრიპის გამო?

პირველი გვერდიდან

კორდოვა აცხადებს, რომ მიუხედავად ვითარების დასტაბილურებისა, რამეს თქმა ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ ყოველდღიურად დაავადების უფრო ნაკლები შემთხვევა ფიქსირდება. მნიშვნელოვნად იკლო სიკვდილიანობის მაჩვენებელმაც.

მინისტრს მიაჩნია, რომ ღორის გრიპი ჩვეულებრივი გრიპის სეზონს დაემთხვა, ამიტომ გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დადგენა რთულდება.

ამავდროულად სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ ქვეყანაში გრიპით დაავადების მეორე შესაძლო შემთხვევის შესახებ განაცხადა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, განაგრძობს თუ არა გავრცელებას ღორის გრიპი ჩრდილოეთ ამერიკის ფარგებს გარეთ.

რაიანმა მაღალი შეფასება მისცა ევროპის ქვეყნების მხრიდან პროფილაქტიკის მიზნით გაწეულ სამუშაოებს და აღნიშნა, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

მექსიკის ჯანდაცვის სამინისტრომ ღორის გრიპით გარდაცვალებულთა შესაძლო რაოდენობა 101-დან 75-მდე შეამცირა. აქედან გამომდინარე, ეპიდემიის გავრცელების თავდაპირველად გახმაურებული მასშტაბი, შეიძლება ითქვას, გაზვიდებული იყო.

ქვეყნებმა, რომლებშიც დაავადების შემთხვევები გამოვლინდა, ხუთდღიანი სახელმწიფო კარანტინი გამოაცხადეს.

მაიკლ რაიანის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, სწორედ მომდევნო რამდენიმე დღე გახდება იმის განმსაზღვრელი, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში. მისი განცხადებით, ამჟამინდელი მონაცემების მიხედვით, პანდემია გარდაუვალია.

რაიანის თქმით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ამჟამად დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატს 72 ქვეყანას აწვდის, რომელთა უმეტესობა განვითარებადი ქვეყნებია.

თუმცა მექსიკის ფარგლებს გარეთ დაავადებას მძიმე ფორმები არ შეუძენია.

შაბათს ღორის გრიპით დაავადების პირველი შემთხვევა გამოვლინდა იტალიასა და ირლანდიაში. დაავადების გავრცელებიდან დღემდე მისი ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის მხოლოდ ხუთი შემთხვევა დადასტურდა ოფიციალურად.

ვირუსის პირველი შემთხვევა გამოვლინდა ჩინეთშიც. ქვეყნის ხელისუფლების განცხადებით, მექსიკის რეისის ყველა მგზავრს კარანტინში მოათავსებენ.

დაავადებულთა რაოდენობა გაიზარდა აშშ-ში. ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, რომ ამჟამად ვირუსით 160 ადამიანია დაავადებული. ამერიკის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ვითარების შესაძლო გაუარესებას მომზადებულები ხვდებიან.

*მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ამჟამად დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატს 72 ქვეყანას აწვდის*

# ბრიტანელი ლეიბორისტები გორდონ ბრაუნის გადაყენებას გეგმავენ

მარიკა იაშვილი

ბრიტანეთის მმართველი "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერები პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის გადაყენების კამპანიას იწყებენ.

"ლეიბორისტული პარტია", რომელიც, გამოკითხვების თანახმად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მთავარ ოპოზიციურ ძალას - "კონსერვატიულ პარტიას" თითქმის 20 პროცენტით ჩამორჩება, განახლებას საჭიროებს,"- აცხადებენ "ლეიბორისტები".

გასული კვირა თავად ბრაუნისთვის უკიდურესად უიღბლო აღმოჩნდა. პაკისტანში ვიზიტის დროს ქვეყნის პრეზიდენტმა მასთან ერთობლივი პრესკონფერენციის ჩატარებაზე უარი თქვა. შემდეგ კი იგი ბრიტანეთის პარლამენტის წევრების დაცინვის ობიექტი გახდა იმის გამო, რომ ტრიბუნიდან ისე ჩამოვიდა, თითქოს დაავიწყდა, ავღანეთის შესახებ განცხადება რომ უნდა გაეკეთებინა.

მაგრამ ბრაუნის მთავარი მარცხი პარლამენტში მისთვის მნიშვნელოვან ორ საკითხზე ჩატარებული კენჭისყრა გახდა, რომელიც, ფაქტობრივად, ჩავარდა.

დიდი ბრიტანეთის ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრმა ჰეიზელ ბლირსმა ყოველდღიურ გაზეთ "ობზერვერში" დაბეჭდილ სტატიაში გააკრიტიკა "ლეიბორისტების" მიერ პარტიისა და ხელისუფლების მნიშვნელოვანი განცხადებებისა და გადაწყვეტილებების ინტერნეტსაშუალებებით გამოქვეყნების მანერა. ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ ბლირსმა სტატიაში მარგარეტ ტეთჩერის ციტატა გამოიყენა:

"თუ გსურთ, თქვენი შეტყობინებები YouTube-ით გაავრცელეთ, მაგრამ ეს ვერ შეცვლის ქალაქის ცენტრში გამოსვლისთვის სცენის დადგმას ან სახლებში ჩამოვლას. ჩვენ ამომრჩევლებთან ისეთი ურთიერთობა გვჭირდება, რომელიც საერთო ინსტინქტებსა და ემოციებზეა დაყრდნობილი," - აღნიშნა ბლირსმა.

მოგვიანებით მას კიდევ ერთი განცხადების გაკეთება მოუხდა, რომელშიც აღნიშნა, რომ მისი გამოსვლა კონკრეტულად გორდონ ბრაუნის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული.

მიუხედავად ამისა, ჟურნალისტები დარწმუნებულები არიან, რომ ბრაუნის "საშინელი კვირა" და კაბინეტის ყოფილი წევრებისა და ამჟამინდელი დეპუტატების მთელი რიგი სახალხო გამოსვლები "ლეიბორისტებს" პარტიის შიგნით პრემიერის შეცვლის ახალ მცდელობამდე მიიყვანს.

"ლეიბორისტმა შეთქმულებმა მთელი დღე იმაზე ფიქრში გაატარეს, აქვთ თუ არა ძალა ბრაუნისთვის "პუტჩის" მოსაწყობად. საბოლოო გადაწყვეტილებას ისინი გამოსასვლელი დღეების დასრულების შემდეგ ვესტმინსტერში დაბრუნებულები მიიღებენ," - წერს გაზეთი "მეილ ონ სანდი."

ბრაუნის მემკვიდრედ და "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერობის კანდიდატად პარტიის ვეტერანი ჯეიკ სტრო განიხილება, რომელსაც ამჟამად იუსტიციის მინისტრის პოსტი უკავია. მეორე პრეტენდენტია ჯანდაცვის მინისტრი ალან ჯონსონი, რომელიც მთელი გასული კვირის განმავლობაში H1N1 ვირუსის გამო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო.

თავად სტრო და ჯონსონი აცხადებენ, რომ ამ რთულ პერიოდში გორდონ ბრაუნის პრემიერის პოსტზე მუშაობას მხარს უჭერენ.

ბრაუნის შეცვლის შიდაპარტიული კამპანიის დაწყების მცდელობას "ლეიბორისტებმა" პირველად გასულ ზაფხულს მიმართეს, რამაც სულ უფრო მზარდი ფინანსური კრიზისისა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად კონსოლიდაციის აუცილებლობის გამო საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.


## საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია

## სასწავლო პროგრამა

### "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა"

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია გიწვევთ სასწავლო პროგრამაში: "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა." პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზის საფუძვლების შესწავლით; მათთვის, სურვილი აქვს განავითაროს უკვე არსებული ცოდნა ამ სფეროში.

პროგრამა შედგენილია იმდაგვარად, რომ სტუდენტებს მიიღონ თეორიული ცოდნა საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აგრეთვე განავითარონ ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, არამედ მისი რეალიზაციისათვის. სასწავლო პროგრამის აქცენტი განაწილებულია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლებისა და მიმდინარე დებატების უკეთ გასაცნობად. ამ მხრივ, სტუდენტები მიიღებენ, როგორც საბაზო ცოდნას, ასევე ინფორმაციას თანამედროვე მიდგომებისა და პოლიტიკური პრობლემატიკის შესახებ.

**ძირითადი თემები:** სტრატეგია და პოლიტიკა; უსაფრთხოების პოლიტიკა; პოლიტიკური მიზნები და სამხედრო ძალა; საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი პარადიგმები; პოლიტიკური რისკის შეფასება, ანალიზი და მენეჯმენტი; მსოფლიო დიპლომატიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი მოვლენები; დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა; თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში; დაზვერვა, როგორც პოლიტიკა, ორგანიზაცია და პროცესი; დაზვერვა და პოლიტიკა; ინფორმაცია და მისი წყაროები, ინფორმაციის ანალიზი.

### სტუდენტთა აღიარება და სტაჟირება

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაციის სერთიფიკატი. საუკეთესო კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სტაჟირება ასოციაციაში, გაზეთ "24 საათში" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

### პროგრამის ლოგისტიკა

ლექციები წარიმართება ქართულ ენაზე. საკითხავი მასალა მოწოდებული იქნება ინგლისურ ენაზე. ლექციები ჩატარდება კვირაში ოთხჯერ, საღამოს 6:30-9:00 საათებში. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ოთხი სრული სასწავლო კურსი, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა ორი თვეა. პროგრამის ღირებულებაა 600 ლარი. მისაღები ლიმიტია 25 სტუდენტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული აპლიკაცია (შეგიძლიათ შეავსოთ აქ: http://bmu.li/st4 ) **არა უგვიანეს 20 მაისისა.** სასწავლო პროგრამა დაიწყება **27 მაისს და დასრულდება 31 ივლისს.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: training@air.org.ge

CMYK - 8


სტაბილურობისთვის...
სიმშვიდისთვის...
გარანტირებული
სარგებლისთვის...
მიიღეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე ენდობა!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი


CMYK - 8

CMYK - 9

# "მეგობარი" სნეხბარი

# გახსენი!

თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

(822) 92 55 55
www.republic.ge

CMYK - 9

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი ”24 საათი” წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

## ზოგიერთი ეპიზოდი ქართულ-აფხაზური ურთიერთობიდან

მსურს მოგითხროთ ფართო საზოგადოებისათვის შედარებით უცნობი ფაქტები აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიისა, უფრო ზუსტად, აფხაზთა ეთნიკური ცნობიერების ამსახველი ფაქტები. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ ქრონოლოგიურად შედარებით გვიანდელ მომენტებზე, რომელთა მიხედვითაც კარგად ჩანს ძველ აფხაზთა დამოკიდებულება ქართული სამყაროსადმი.

ამ მხრივ XIX საუკუნის რამოდენიმე საინტერესო მონაცემი გვაქვს. მღვდელმონაზონი ანტონი (მთაწმინდელი) “მღვდელ სქიმმონაზვნის ილარიონ ქართველის ცხოვრებაში” მოგვითხრობს: ათონის მთაზე მყოფი მამა ილარიონი 1822 წ. თურქებმა შეიპყრეს, როგორც აჯანყებულ ბერძენთა თანამოაზრე. დასასჯელად გადასცეს წარმოშობით აფხაზ ორ მცველს. როცა მათ გაიგეს, რომ მამა ილარიონი ქართველი იყო “მცველებმა განცვიფრებით ხელი ხელს შემოჰკრეს და წამოიძახეს, ეს არ მოხდება, ჩვენი თავის მოჭრაა, ქალაქში გამოჩენასაც ვერ შევძლებთ, ხალხი იტყვის ძლივს ამ მხარეში ერთი თანამემამულე გამოუჩნდათ და ისიც სიკვდილით დასაჯესო. ეს ჩვენი სამუდამო სირცხვილი იქნება”. (მღვდელმონაზონი ანტონი (მთაწმინდელი), მღვდელ სქიმმონაზონ ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნარკვევები. თბ. 1993 წ. გვ. 33).

ასევე მრავლისმთქმელია XIX ს-ის ბოლოს ისევ თურქეთში (ოსმალეთში) დაფიქსირებული ამბავი. სტამბულის კავკასიურ კაფერესტორანში მოჰაჯირი აფხაზი და თურქი კამათობს. თურქი ეუბნება: “რას წარმოადგენდით თქვენს სამშობლოშიც, საკუთარი ალფავიტი, საკუთარი დამწერლობაც კი არ გქონდათო”. ამაზე მოკამათისათვის აფხაზს უპასუხია: “ჩვენი ალფავიტი ქართული ალფავიტი იყო” (□. `ªÆ.`□łæ□□łł□łæ□□□□æ ł□□Æı □łł, □Æ 1967. æ□35). გასაოცარი არაა ჩემო მკითხველო?

დაახლოებით ამავე დროს აფხაზთა ქართული ეთნიკური ცნობიერების ფაქტი მოყვანილი აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს. ესაა ალექსანდრე შერვაშიძის პროტესტი რუსი მოხელეებისადმი “□ □□ ÆI □æŒŁØ ^□□łæŒKØE□□”. და როგორც დასძენს მეცნიერი “საშუალო საუკუნეებში აფხაზეთში არ არსებობდა კულტურა, გარდა ქართულისა, გარდა ვეფხისტყაოსნის კულტურისა” (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990. გვ. 611). მართლაც ძველ აფხაზთა სრული ქართული ეთნოკულტურული შეგნების მაუნყებელი უნდა იყოს ის, რომ როდესაც აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ VIII ს-ის ბოლოს მთელი დასავლეთ საქართველო “დაიპყრო” - გააერთიანა და შექმნა “აფხაზთა სამეფო”, ქართული სწორედ ამ დროიდან იქცა აქ სახელმწიფო და საეკლესიო ენად, ნაცვლად ბერძნულისა. დასავლეთ საქართველოს “დამპყრობ” აფხაზებს ადიღო-ჩერქეზული ტიპის მეტყველება რომ ჰქონოდათ, საფიქრებელია, რომ სახელმწიფო ენად მას დანერგავდნენ და არა “დაპყრობილი” ხალხისას - ქართულს, მაგრამ, როგორც სჩანს აფხაზები ეთნოკულტურულად ქართველები იყვნენ. აკი აკად. თ. გამყრელიძე ეთნონიმ აფხაზს ქართველად თვლის (თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან (ძაფხაზ/აბაზგ და ძაბაზა/აფსუა-ეთნონიმთა ისტორიულ ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის, თბ. 1993, გვ. 581). სხვათა შორის XIX ს-ის II ნახევარში ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად ობიექტურად განწყობილი რუსი მკვლევარები, კერძოდ გრაფინია პ. უვაროვა, აფხაზებს ეთნიკური ნიშნით ქართველებს აკუთვნებდა, თუმცა ისიც იცოდა, რომ იმ დროს აფხაზური “ყაბარდოულის მსგავსი” ენა იყო. კერძოდ იგი წერს “^ □□łæŒKØ □□□□ □□ª□æ □□ª□□□□□, ˘□łł□□□, □□ł□□□, □□□æ□□, ˘ł□ □□□, łł□ª□º□□□□, ^□łł□□□łł□ÆI □□□. ´æ□ □łł□º□□□□ łł□□□□ □ÆøłØ ^□□łæŒKØ □ßŒEæ □Œ□□□ßłł łł□□□□□□□łł□łł. ÆI □□ß □□ □ æ□□□□ □□□□łł. □□□łæ□□□□łł □ æ□æ□□□ ˚ÆE□□łł□□□□. (□. ˘. □□□□□□□,˚□□Œ□□, ˘□□□ß□□□□□□Œł, □æŒ□ 1887. æ□□. 95).”

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ვფიქრობთ კარგად ჩანს, რომ შუა საუკუნეთა და XIX ს-ის აფხაზთა ეთნოკულტურული ცნობიერება ისეთივე იყო, რაც სხვა ქართული ტომებისა და კუთხეების: გურულების, მეგრელების, სვანების, აჭარლების, რაჭველების, კახელების და სხვ. იგი გადააგვარა ბოლო 150 წლის მანძილზე რუსულმა იმპერიულმა პოლიტიკამ. რუსულმა იმპერიალიზმმა აფხაზთა ქართული ეთნიკური ცნობიერების გადასაგვარებლად და მეტიც, ქართველ-აფხაზთა შორის მტრობის დასათესად სხვა მეთოდებთან ერთად აფხაზეთის ეთნიკური რუკა ააჭრელა. აფხაზთა მოზრდილი ნაწილი თურქეთში განდევნა (ე.წ. მოჰაჯირობა) და მათ ადგილას რუსულ (კაზაკური) - სომხური დასახლებები შექმნა: საბჭოთა პერიოდში კი პირიქით (უფრო ზუსტად აფსუათა) რიცხვს ხელოვნურად ზრდიან ჩრდილოკავკასიელ აბაზას ტომის ხარჯზე. აბაზები დღევანდელი აფსუა - აფხაზების მონათესავე ენაზე მეტყველებენ, მაგრამ სრულიად განსხვავდებიან ისტორიულ აფხაზთა ეთნოკულტურული ცნობიერებისაგან. ისინი ძირითადად ცხოვრობდნენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. როგორც რუსი მკვლევარები ნ. ვოლკოვა და ლ. ლავროვი 1968 წ. გამოცემულ ნაშრომში წერენ “.. 30-იან წლებში აბაზთა ნაწილი აუბიდან გადაასახლეს აფხაზეთში, სადაც გადმოცემის თანახმად უძველეს დროში თითქოს ცხოვრობდნენ მათი წინაპრები (ხაზი ჩვენია - ნ.ა.). მაშინვე აბაზთა სოფელ შახგირეევსკოეს სახელი გადარქმეულ იქნა “აფსუად” ე.ი. აფხაზები, თუმცა აქ არც ერთი აფხაზი არ ცხოვრობდა. (˝. ˆ. ´□ŒE□□, „-˝.□□□□□ - □□□□□□□□□□□ß □ □□łæŒKØ □□□□æææß□º□□□□łˇß□□□□□□□□□□□□□ª□□Œ□□□, □. 1968, გვ. 332-333).

*ნოე აფხაზავა*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

# კიდევ ერთი ამბავი ელისაბედ I-ის შესახებ




ბრიტანელმა არქეოლოგებმა აღწერილობათა მიხედვით აღადგინეს ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური საჩუქარი, რომელიც დედოფალ ელიზავეტ პირველისათვის იყო განკუთვნილი. ეს არის ბაღი, რომელიც მის საპატივსაცემოდ გრაფმა რობერტო დადლიმ 1575 წელს გააშენა. ისტორიული ბაღის რეკონსტრუქცია 2 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი დაჯდა. ამის შესახებ გაზეთი The Independent იუწყება.

დადლი ყმაწვილობაში დედოფლის მეგობარი და მისი ფავორიტი გახლდათ. მას სურდა ელიზაბედისთვის წინადადება უორიკშირის საგრაფოში, კენილვორტის ციხე-დარბაზში ვიზიტისას შეეთავაზებინა. დედოფალს იქ 19 დღე უნდა გაეტარებინა. ცნობილია, რომ ელიზაბედამ დადლის ცოლობაზე უარი უთხრა და 1603 წელს ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრეც არ დაუტოვებია. მისით დარულდა ტიუდორების დინასტია. დადლი კი დედოფლის სიკვდილამდე უფრო ადრე, 1588 წელს გარდაიცვალა. მისი აღსასრულის შემდეგ კენილვორტის ციხე-დარბაზი ხაზინას გადაეცა, დროთა განმავლობაში გაპარტახდა და 1620 წლისთვის ამ ისტორიული ბაღისგან აღარაფერი დარჩა.

ბაღის აღწერილობა შემორჩენილია დადლის ჯალაბობიდან ერთ-ერთის, რობერტ ლანგემის წერილში. მან ზუსტად აღწერა ყვავილნარის, ბილიკების, ობელისკების, ქანდაკებების, შადრევნების, ფრინველებისთვის განკითვნილი გალიების და ბაღის სხვა დეტალების განლაგება. არქეოლოგებმა ბაღის არაერთი ურბანული დეტალი აღმოაჩინეს სწორედ იმ ადგილებში, რომელზეც XVI საუკუნის ავტორი მიუთითებდა. საყურადღებოა, რომ გრაფ დადლის ჩანაფიქრის თანახმად, ბაღში დედოფლის და მასთან დაახლოებული პირების გარდა არავინ უნდა შესულიყო, მაგრამ გადარჩენილი წერილიდან ირკვევა, რომ ლანგემმა მებაღის დაყოლიება შეძლო.

ლანგემმა მცირე ცნობები დატოვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ჯიშის მცენარეები იყო დარგული ბაღში, მაგრამ ის აღნიშნავს □ტკბილ სურნელს”, რომელიც ყველგან ვრცელდებოდა, საიდანაც მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ დადლის მებაღემ შექმნა იმ დროისათვის ტიპიური ყვავილნარი ლევკოიონებისგან, მიხაკებისგან, ჟაბოებისგან და სხვა მსგავსი ყვავილებისგან. ამასთან, ბაღში დარგული იყო ვაშლის, მსხლისა და ალუბლის ხეები.

ფონდი □ინგლისური მემკვიდრეობა”, რომელიც სხვა ისტორიულ ნაგებობებთან ერთად ამ ციხე-დარბაზსაც პატრონობს, იმედოვნებს, რომ ეს ბაღი, ელიზაბედ პირველის საპატივსაცემოდ, უორიკშირის საგრაფოს ერთ-ერთი მთავარი ღირშესანიშნაობა გახდება.

ელიზაბედ პირველთან დაკავშირებით, სულ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღმოსავლეთ ესექსის საგრაფოში მდებარე სახლის სხვენში აღმოაჩინეს დედოფლის პორტრეტი, რომელიც მის სიცოცხლეშია შესრულებული. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს სურათი დახატულია მაშინ, როდესაც ელიზაბედი, დაახლოებით, 26 წლის იყო, ანუ მისი სამეფო ტახტზე ასვლიდან სულ მალე. ლონდონელმა ანტიკვარმა, ფილიპ მოულდმა პორტრეტი გამოისყიდა მისი ძველი პატრონისგან, რომელმაც ის 350 ათას ფუნტ სტერლინგად (612,5 ათასი დოლარი) შეაფასა. ამის შესახებ ინფორმაცია The Telegraph-მა გაავრცელა.

პორტრეტზე ელისაბედი მოკრძალებულად არის ჩაცმული და ხელში ბიბლია უჭირავს. რედგენის ანალიზმა გვაჩვენა, რომ ამ გამოსახულების ქვეშ არის უფრო ძველი, სადაც დედოფალი დახატულია წიგნის გარეშე და გაცილებით ფაშფაშა საყელოიანი კაბით. ტიუდორთა იკონოგრაფიის ექსპერტის - დევიდ სტრაკის მოსაზრებით მეორე ვარიანტში მხატვარმა დედოფალი ისე გამოსახა, რომ გამოსახულებას პროტესტანტიზმისადმი ერთგულება გამოეხატა.

აღმოსავლეთ ესექსში ნაპოვნი პორტრეტი ორი ადრეული ნამუშევრიდან ერთ-ერთია. ვინძორში ინახება სურათი, რომელზეც ელიზავეტა მოზარდობისას არის გამოსახული. დედოფლის სიცოცხლეში შესრულებული ნამუშევრებიდან უმრავლესობა მისი მოწიფულობის ასაკშია დახატული.

# მსოფლიოს წამყვანმა კლასიკურმა სააგენტომ რეპუტაცია შეილახა

კომპანია - IMG Artists მსოფლიოში მსხვილი საპროდიუსერო სააგენტოა, რომელიც კლასიკური მუსიკის შემსრულებლებთან თანამშრომლობს. თუმცა, ამ კომპანიის რეპუტაცია მას შემდეგ შეილახა, რაც მისმა მფლობელმა ბარეტ უისმენმა (Barrett Wissman) სასამართლოში ფასიანი ქაღალდების თაღლოთობა აღიარა.

უისმენს ეთიკური ნორმის დარღვევის არავითარ ფორმალურ საყვედურს არ წაუყენებენ. მაგალითად, იმპრესარიოთა საერთაშორისო ასოციაციამ - International Artists Managers Association, LAMA, რომელშიც გაერთიანებულია IMG Artists, გაავრცელა განაცხადი, რომელშიც აღნიშნავს, რომ ბარეტ უისმანი არ გახლავთ რომელიმე მუსიკოსის აგენტი ან მენეჯერი, ის არის მხოლოდ ამ კომპანიის მფლობელი და ინვესტორი. ასე რომ, მისმა დამოკიდებულებამ ფასიანი ქაღალდებისადმი არ უნდა იმოქმედოს ასოციაციის პრესტიჟზე. ამასთან, IMG Artists-ის მენეჯერები შიშობენ, რომ შემსრულებლები მათი სააგენტოს მომსახურებაზე უარს იტყვიან. რა თქმა უნდა, მუსიკოსების რეპუტაციას უისმენის საქმე არ დააზარალებს, მაგრამ ბევრი შეეცდება თანამშრომლობა გააგრძელოს ისეთ კომპანიასთან, რომლის სახელის ასოცირებული არ იქნება კანონის დარღვევასთან.

უისმანმა თაღლითობა აღიარა. რაც არასასიამოვნო ფაქტი გახდა და კომპანია IMG Artists დაასუსტა. ამის საფუძველზე კომპანია დატოვა ორმა ძალიან ენერგიულმა ახალგაზრდა მენეჯერმა - ჯეფრი ვანდერვინმა და მანფრედ სეიპტმა. ორივე მათგანი გადავიდა Universal Music Group-ში და თან წაიყვანეს არაერთი ვარსკვლავი მომღერალი. მათ შორის ანა ნეტრებკო, როლანდო ვილიასონი, კარიტა მატილი.

ამჟამად IMG Artists-ის კლიენტების რაოდენობა 200 მუსიკოსსა და დირიჟორს შეადგენს. ამ კომპანიასთან ჯერ კიდევ თანამშრომლობენ დასავლეთის ისეთი შემსრულებლები როგორებიც არიან: მევიოლინეები იცხაკ პერლმანი, იულია ფიშერი, ჰილარი ჰან და ჯოშუა ბელი, ვიოლონჩელისტი სტივენ ისერლისი, პიანისტი ჟან-ივ ტიბოდე და მიურეი პერაია.

# მესამე რეალობა

**ლევან ხეთაგური**
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი*

საუკუნეების განმავლობაში სერიოზული მცდელობები იმისა, რომ გაგვერკვია სად ვიყავით წარუმატებლად მთავრდებოდა.

ფილოსოფოსთა თაობები, მიუხედავად სკოლებისა და მიმართულებების დასახელებათა სიმრავლისა, ანტიკურობაში დასმულ შეკითხვებს ვერ გასცდნენ და ვერც ახალი ვერ შემოგვთავაზეს.

დროისა და ისტორიის ლაბირინთებში მოძრაობისას ახალი კარი არ გაგვიღია - ერთი და იგივე მოვლენებისადმი სახელთა მინიჭებაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს.

სულ უფრო და უფრო ვშორდებოდით საკრალურსა და ეზოთერიულს.

სულ უფრო უკეთ და უკეთ ცხოვრობდა კაცობრიობის დიდი ნაწილი.

სულ უფრო და უფრო ღარიბდებოდა ჩვენი სულიერება.

მოკლედ და კონკრეტულად, ჩვენ XXI საუკუნეში ვართ, - სიყვარულის რელიგიაზე დაფუძნებული წელთაღრიცხვისა, რომელშიც ერთმანეთის სიყვარულის დეფიციტმა სულიერ გამყინვარებამდე, მაგრამ გლობალურ დათბობამდე მიგვიყვანა.

ჩვენ ვცხოვრობთ და ვარსებობთ, მაგრამ სად და რომელ განზომილებაში?

ესპანური აღორძინების გვირგვინოსანმა კალდერონმა მრავალსაუკუნოვანი თავსატეხი ასე გამოხატა - ცხოვრება სიზმარია?!

ცალსახაა ის გარემოება, რომ მრავალსაუკუნოვანი წარმოდგენა ორ სამყაროს შორის არსებობდა, ორ-ორ განზომილებას გვთავაზობდა.

ცხოვრება - სიზმარი
სიცოცხლე - სიკვდილი
სამთხე - ჯოჯოხეთი

თუმცა რელიგიას მესამე სამყაროც შემოჰქონდა განსაწმენდელი, როგორც მესამე განზომილება.

კალდერონი გვეკითხებოდა: სად არის ჭეშმარიტი რეალობა, სად ვარსებობთ ჩვენ სინამდვილეში - იქ, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვუწოდებთ თუ იქ, რასაც ჩვენ სიზმარს ვეძახით.

სად არის ჩვენი ნამდვილი არსი? - ერთი შეხედვით მარტივად თუ შევხედავთ ამ საკითხს ვიტყვით: ფიზიკურად ჩვენ ვარსებობთ ე. წ. რეალურ ცხოვრებაში, ხოლო ჩვენი ცნობიერება შიშვლდება ე. წ. წარმოსახვითი სიზმრების სამყაროში - ასევე რეალურში ჩვენი ცნობიერებისათვის.

სად არის ადამიანი ის რაც ის არის სინამდვილეში? ანუ ისეთი, როცა აღასრულებს ანტიკურობიდან მოყოლებულ შეგონებას - "შეიცან თავი შენი" ანდა "იყავი ის რაც ხარ", აქ, თუ იქ? ეგრეთ წოდებულ ცხოვრებაში თუ სიზმარში? ფსიქოლოგები ალბათ იტყვიან, რომ იქ - სიზმრებში.

### ახალი განზომილება

სამყაროს განვითარება;

ინტერაქტიულობა - ხელოვნების მიბაძვა - ცნობიერების ნაკადისადმი;

პოსტმოდერნიზმიდან - კვლავ ნეო ინტელექტუალიზმამდე.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა ამასწინათ მითხრა: "უკვე მთავრდება შტაინერისა და მასთან დაკავშირებული პოსტმოდერნის ეპოქა ... " და მრავალი ნეოიზმების ეპოქაო - მაშ, რა იწყება ახლა? - პოსტ-პოსტ?

90-იან წლებში ესპანელი თეატრმცოდნე ხოსე ანგელი გომესი ბარსელონიდან ფართოდ იყენებდა და პოპულარიზაციას უწევდა "პოსტ თეატრის" თეორიას. იგი წერდა სტატიებსა და წიგნებს პოსტ-ჰამლეტის, პოსტდონჟუანის ანუ ე. წ. პოსტთეატრის შესახებ, ახალი თეატრის მოლოდინის იმედით.

ხელოვნების შესწავლა - ხელოვნების ფილოსოფოსობაში გადასვლა - თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეები უკვე არიან კულტურის ანთროპოლოგები.

### ინტერაქტიულობიდან - მულტიმედიურ გამოსახულებამდე

ჩვენი აღქმის პროცესი ინტერაქტიულია, რაც განაპირობებს ჩვენი თვითგამოხატვის დროს ინტერაქტიულობის დაცვას - ამის საშუალება კი მხოლოდ მულტიმედიური საშუალებებითაა შესაძლებელი.

ჩვენი ერთდროულად რამოდენიმე რეალობაში ვარსებობთ - მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - ეს კიბერრეალობაა. რეალობა, რომელიც მოითხოვს - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორც თვითგამოხატვის საშუალებას.

ჩვენ ერთდროულად ვუსმენთ, ვუყურებთ, ვფიქრობთ, ვწერთ და ვკითხულობთ - კიბერსამყაროში ერთდროულად ვურთიერთობთ რამოდენიმე ადამიანთან, შეიძლება ათეულთანაც კი ისე, რომ მათ ეს არ იციან, ჩვენ ვინიღბებით კიბერსამყაროში შეთხზული ბიოგრაფიებით, ნასესხები ინდივიდუალობებითა და სახეებით.

პირდაპირი მნიშვნელობით - თუკი ანტიკური თეატრიდან მოყოლებული ჩვენი საკუთარი სურვილების სუბლიმირებას სცენაზე მოთამაშე მსახიობისა და გმირის საშუალებით ვახდენდით - ახლა ეს პროცესი უშუალოდ ჩვენს ხელშია - კიბერ რეალობამ მოგვცა საშუალება კიბერ სივრცეში ვიქცეთ იმათ, რაც გვინდა და გავხადოთ კიბერ მატერიალური და არა წარმოსახვითი მხოლოდ.

ჩვენ ვყიდულობთ ახალ სიცოცხლეს (მეორე სიცოცხლეს, მეორე რეალობას ინტერნეტსივრცეში) და ამიტომაც ჩვენი გამოხატვის ენა ხდება კიბერ ენა - ციფრებით არსებული სამყაროს თანამედროვე ტექნოლოგიები.

კიბერსამყაროში ჩვენ ვარსებობთ დროსა და საზღვრებს მიღმა, ენასა და რეალობას მიღმა, პრაქტიკულად ზედროულ და ზერეალურ განზომილებაში.

როგორია ამ დროის ხელოვნება, რა არის მისი გამოხატვის საშუალებები - თეატრი - პერფორმანსი ხდება ხელოვნებათა სინთეზის, ადამიანის ნააზრევის მისი კიბერზმანებათა გამოხატვის ერთადერთი საშუალება. ისე როგორც არასდროს დღეს ხელოვნება სინთეზურია.

- თვითგამოხატვის პროცესი - უსაზღვრო, ღრმა და დაუსრულებელი;

- ჩვენ აღარა ვართ ამბების სამყაროში;

- ჩვენ ვართ შეჩერებული წამისა და წამების უსასრულოდ ქცევის სამყაროში;

- ჩვენ აღარა ვართ დასრულებული ნაწარმოებების ეპოქაში, ჩვენ ვართ სივრცეში გაწელილი მოძრაობის, სიტყვის, ბგერის, და ა. შ. უსასრულო სამყაროში და კოსმოსში გაგზავნილი გზავნილების ეპოქაში.

ტრადიციული აზროვნება და ფორმები კვდება ისე, როგორც არასდროს;

თაობათა ომი სასტიკია, როგორც არასდროს; სამყაროს დაშლა დაწყებული ბაბილონში - ალდგენის გზაზეა კიბერსამყაროში; ჩვენ ვხვდებით კიბერ სამყაროს მოქალაქეები;

ვიცით თუ არა ტექნიკა, ახალი ტექნოლოგიები - მიუხედავად ამისა ჩვენი გამოხატვის საშუალება მხოლოდ ტექნიკაა; ჩვენ შეიძლება ბოლო ათწლეულს ვითვლით ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნებისა; ეკოლოგიის დაცვასთან ერთად - ქაღალდის მაგივრად ყველა წიგნი - კიბერსამყაროში გარდაიცვლება და ციფრული ფორმით დაიბადება;

ჩვენ მალე დავიბადებით და გარდავიცვლებით კიბერ სამყაროში - ჩვენი არსებობა კოსმოსში გადადის; ჩვენი არსებობა ხდება უსასრულო;

და როგორი შეიძლება იყოს თეატრი ახლა? - ინტერაქტიული.

თეატრი ერთდროულად მოსაუბრე ყველა ენაზე და ყველასათვის გასაგებ ენაზე, საზღვრების გარეშე, მოსაუბრე - ბგერებით, ხამურით, ფერით, მოძრაობით, მუსიკით, სინათლითა და ჩრდილით; გამოსახულებით, პროექციით და ტრანსლაციით, ერთდროულად რამოდენიმე მიმართულებით, ერთდროულად მთელს სივრცეში.

სივრცე აღარ არის მხოლოდ სათეატრო, სივრცე გასცდა თეატრის კედლებს, იგი გახდა უსაზღვრო.

მაღალ ტექნოლოგიებთან ერთად თეატრი ხდება უფრო საიდუმლო და უფრო მისტიკური, ის ისე როგორც არასდროს ყველაზე ახლოსაა სულის გასაშიშვლებლად,

გონების საჩვენებლად...

თუკი ადრე თეატრი ცხოვრებას აჩვენებდა და მასში ადამიანებს ახლა იგი იმას აჩვენებს თუ რა ხდება ადამიანებში ცხოვრების დროს.

იგი აშიშვლებს გონებაში მიმდინარე ცნობიერების ნაკადს, უსასრულობაში გადასულ აზროვნებას, ასოციაციების რიგს და ყველაფერს რაც გონებაში ხდება,

სიზმრების გამოხატვა გახდა შესაძლებელი, ფიქრის ჩვენება გახდა რეალური - თეატრს შეუძლია უკვე აჩვენოს რას ვფიქრობთ, რას ვაკეთებთ და რისი გაკეთება გვსურს. ამის საშუალებას იძლევა მულტიმედიური თეატრი, თანამედროვე ტექნოლოგიები.

სცენაზე სინათლით დაღვრილი ფერთა ლაქები, თეატრის ყველა კუთხე გადაქცეულია პროექციის ადგილად - ყველგან მიდის ჩვენს გონებაში მიმდინარე პროცესის, ხატების პროექცია - და ჩვენ ვაღწევთ ადამიანის სულში მიმდინარე პროცესებში - არა მონათხრობით, არამედ უშუალო ცქერით, საიდუმლო ლაბირინთებში შეღწევით.

თეატრი არასოდეს არ ყოფილა ასე ახლოს საიდუმლო სამყაროს გამოხატვასთან. თეატრი ხდება გლობალური და ამავე დროს ძალიან ინტიმური - სპექტაკლი ემსგავსება მედიტაციისა და მაგნეტიზმის სეანსს. თეატრი ემსგავსება მისტიკური სამყაროს ვიზუალურ პროექციას.

თეატრი იწყებს ყოველდღიური რიტუალების შექმნას - თეატრი ლოცულობს სამყაროსთვის, ადამიანის გონების გაშიშვლების საშუალებით.

სინათლე, მუსიკა, ფერი, ხმაური ხდება ადამიანის სხეულის სიშიშვლის შემოსვის საშუალება.

ადამიანი დღეს ლაპარაკობს საკუთარი შიშველი სხეულით და არა სიტყვებით.

დღეს, ისე როგორც არასდროს თეატრს ერთიანი ენა სჭირდება და ეს ენა ხდება ადამიანი - მსახიობი, როგორც სამყაროში აზრის გადაცემის ერთეულის საზომი, ღირებულება, რომლის მაღლაც არაფერი აღარ დგას.

თანამედროვე მაღალი განვითარების ცივილიზაციის ღირებულება, ცივილიზაციის ხელოვნების ნიმუშად თავად ადამიანი იქცა და ყველაფერი, რასთანაც ადამიანს აქვს შეხება, შეიძლება, ასევე იქცეს ხელოვნების ნიმუშად.

ადამიანი, როგორც თავისუფლების საზომი, ადამიანი, როგორც მშვენიერების ნიმუში, ადამიანი, როგორც ბუნებისა და სამყაროს თვითგამოხატვის საშუალება.

მსოფლიო კულტურაში - ღმერთი აბსოლუტია, რომელშიც ერთიანდება რელიგიები სახელების მიუხედავად, ეთნოსები ეთნიკურობის მიუხედავად - დღეს ღმერთი აბსოლუტია - ღმერთია ხელოვნება და ხელოვნების ქმნადობა, პროცესი და შედეგი.

დღეს რეალობები ერთმანეთთან მიმართებით ფარდობითია. დრო ათვლის სისტემიდან ერთ დიდ უსასრულო სიბრტყეში ინაცვლებს, სადაც აღარ არის დასაწყისი და დასასრული, წამები და წუთები არის მხოლოდ უსასრულობა, ციფრული უსასრულობა.

- აბსოლუტი ნული და ერთით მეტი, უმარტივესი ჭეშმარიტება;

- პითაგორადან დღემდე ერთი ნახტომი აღმოჩნდა;

- სამყარო ციფრებშია მოქცეული;

- სამყაროს საფუძველი აბსოლუტური ჰარმონია ნულია და ყველაფერი

იცვლება და იქმნება მარტივი ერთიანის დამატებით;

- სამყარო მხოლოდ ნული და ერთიანია.

ნული, როგორც უსასრულო სამყარო და ერთი, როგორც ყოველი ინდივიდი მასში.


## შპს „საქართველოს ფოსტა“ აცხადებს
## ღ ი ა  ა უ ქ ც ი ო ნ ს

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართების იჯარით გაცემის მიზნით

| № | გასაიჯარებელი ფართები | კვმ. | საწყისი საიჯარო ფასი 1 კვმ-ზე დ.ღ.გ.-ს-გარეშე (ლარი) | ბიჯი 1 კვმ-ზე (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | აეროფორტის ტერიტორია ბიქსი (მის: ბოჟდან ხმელნიცკის 48 ა) | 40 | 5 | 1 |
| 2 | აეროფორტის ტერიტორია ბიქსი №14 (მის: ბოჟდან ხმელნიცკის 48 ) | 20 | 5 | 1 |
| 3 | ფილიალ თბილისის ფოსტამტის №51 სკ ლილოს დასახლება | 4.78 | 12 | 1 |
| 4 | აეროფორტის ტერიტორია ბიქსი (მის: ბოჟდან ხმელნიცკის 48 ა) | 30 | 8 | 1 |
| 5 | ფილიალ "რუსთაველის ფოსტის" ადმინისტრაც. შენობა (მეუღბრობის გამზ.2) | 8 | 10 | 1 |
| 6 | ფილიალ "რუსთაველის ფოსტის" ადმინისტრაც. შენობა (მეუღბრობის გამზ.2) | 12 | 10 | 1 |
| 7 | ფილიალ "რუსთაველის ფოსტა" მის: კოსტავას გამზ.8 | 5 | 10 | 1 |
| 8 | ფილიალ „წყალტუბოს ფოსტის" ადმ. შენობაში | 12.7 | 3 | 0.5 |
| 9 | თბილისის ფოსტამტის №81 სკ დაბა წკნეთი, რუსთაველის ქ. №3 | 35 | 9 | 1 |

2. შპს „საქართველოს ფოსტა“ განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს

| № | გასაიჯარებელი ფართები | ფართი (კვმ.) | საწყისი საიჯარო ფასი დღგ-ს გარეშე (1 კვმ-ზე) | ბიჯი (1 კვმ-ზე) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფილიალ ქუთაისის ფოსტის №2 სკ მის: წმინდა ნინოს ქ.№7 | 7 | 24 | 05 |
| 2 | ფილიალ სენაკის ფოსტის ადმ. შენობა II სართული | 13.10 | 6 | 0.5 |

ღია აუქციონში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, ინდ.მეწარმე დამატებით წარმოადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი წარმოადგენს: ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან, წესდების ასლს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს.
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.
- მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით
- გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური იჯარის თანხის 10%-ს პრეტენდენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში, ან საბანკო დაწესებულებაში, მითითებულ ანგარიშზე).

დამატებითი პირობები:

- აუქციონი ტარდება ღია წესით და გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს.
- სავალდებულოა პრეტენდენტის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აუქციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს და ბილეთის თანხა უკან არ დაბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური იჯარის თანხა ფასის განცხადება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების ფორმდება 3 (სამი) წლამდე ვადით;
- ყოველთვიური საიჯარო თანხას გამარჯვებული პრეტენდენტი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შპს „საქართველოს ფოსტის“ მითითებულ ანგარიშზე.
- მოიჯარე ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის საუქციონო და სახელშეკრულებო პირობებშია.

განაცხადების მიღების ადგილი: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

განაცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 4 მაისიდან 2009წლის 19 მაისის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 16.00 სთ.-მდე (შაბათ-კვირის გარდა).

ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 2009 წლის 19 მაისი 17:00 სთ. თბილისი, ვაგზლის მოედანი№2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი 123286800. ბანკის კოდი 220101502. ს.კ 203836233

საკონტაქტო ტელეფონი: 340735.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ფოთის სადგურის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

"საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ფოთის სადგურის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495.

სატენდერო დოკუმენტაცია, შესაბამისი პროექტი და სამუშაოთა უწყისი გაიცემა 2009 წლის 11 მაისის ჩათვლით სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | სამუშაოს დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი |
|---|---|
| 1 | ფოთის სადგურის შენობის რეკონსტრუქცია |

3. სამუშაოს შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქულ კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 11 მაისის ჩათვლით 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან

ფიზიკური პირებისათვის :

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან

*როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:*

1. ინფორმაცია განხორციელებული მსგავსი სამუშაოების შესახებ.
2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას შესასრულებელი სამუშაოების და შესაძლო ავანსირების (ავანსის შემთხვევაში) გეგმა-გრაფიკი; (პაკეტების გახსნის დღეს)
3. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება (გარდა ავანსისა) განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
4. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

განსაკუთრებული პირობები:

1. ფოთის სადგურის შენობის რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს თანდართული პროექტის შესაბამისად. სადღეისოდ შესრულებულია პროექტით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები:

ა) არსებული რკინიგზის ვაგზლის შენობა დანგრეულია, სამშენებლო ნაგავი გატანილია;

ბ) მოწყობილია შენობის საძირკვლის ქვედა ბეტონის მოსამზადებელი ფენის ხრეშის გამასწორებელი ფენა - 134 მ³;

გ) მოწყობილია შენობის საძირკვლის ქვედა ბეტონის მოსამზადებელი ფენა - 67 მ³;

დ) მოწყობილია შენობის საძირკვლის მონოლითური ფილის არმატურის კარკასი - 104,3 ტნ;

ე) სვეტების ძირების არმატურის კარკასი გათვალისწინებულია საძირკვლის მონოლითური ფილის არმირებაში;

ზემოაღნიშნულ პუნქტებში ჩამოთვლილ სამუშაოებთან დაკავრიშებით ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს არ უნდა გააჩდეს არანაირი პრეტენზია.

2. პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი უნდა გახდეს სამშენებლო ობიექტის ექსპლოატაციაში მიღება; ამასთან მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს სამშენებლო ობიექტის ჯამურ მდგრადობაზე, რაც მიიღწევა შესაბამისი პროექტის სრულფასოვანი და ზუსტი შესრულებით;

6. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი, ბეჭდით დამოწმებული (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის) სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში დღგ–ს გარეშე: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად.

3. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ 56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი; (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60; თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

# О.О.О. «Грузинская железная дорога» объявляет международный тендер на реконструкцию здания «вокзала Поти»

***О.О.О. «Грузинская железная дорога»***, г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, объявляет международный тендер **на реконструкцию здания «вокзала Поти»** и приглашает принять участие всех заинтересованных физических и юридических лиц.

1. Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере **500 (пятьсот)** лари на реквизитах: А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757, Р/С – 10494921495.

**Тендерная документация, соответствующий проект и перечень работ** на грузинском языке выдается от **по 11** мая 2009 года на основании **квитанций вместе с заявкой на выдачу тендерной документации** по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**2. Объекты закупки**

| Лот № | Наименование работ и характеристика |
|---|---|
| | |
| 1 | Реконструкция здания «вокзала Поти» |

**3. Срок исполнения работ -** не позднее 31 декабря 2009 года.

**4.** Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предъявить в запечатанных конвертах, в двух экземплярах (Оригинал и его копия), заполненные на грузинском (допускается на русском и на английском языке) и/или с грузинским переводом заверенный нотариусом.

- Сроки предъявления документации: **с 9-00 до 18-00 часов 11 мая 2009 года;**
- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**5. Квалификационные данные должны содержать следующую информацию:**

**Для юридических лиц:**

1) Выписку из предпринимательского реестра.
2) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.
3) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере **5% от общей стоимости тендерного предложения, срок действия которой должен быть не менее 60 календарных дней со дня открытия пакетов.**

**Для физических лиц:**

1)Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.
2)Копию документа, удостоверяющего личность претендента.
3)Документ о регистрации инд./производителя.
4)В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере **5% от общей стоимости тендерного предложения, срок действия которой должен быть не менее 60 календарных дней со дня открытия пакетов.**

**Для юридических и физических лиц:**

1. Информация об аналогичных услугах.
2. Претендент должен предъявить график аванса (в случае аванса) и план - график работ подлежащих исполнению. (в день открытия пакетов).
3. Оплата (кроме аванса) выполненных работ будет осуществлено только после выполнения полного объема работ предусмотренных договором.
4. Прием выполненных работ будет осуществлен только после выполнения полного объема работ предусмотренных договором.

**Особенные условия:**

1. Реконструкция здания станции Поти должна быть осуществлена согласно приложенному проекту. На сегодняшний день осуществлены предусмотренные проектом следующие работы:

а) Здание ж/д вокзала разрушено, строительный мусор вывезен.

б) Под нижним подготовительным слоем бетонного фундамента утрамбованн уравнивающий слои шебеня объемом – 134 М³.

г) Устроен нижний подготовительный слой бетонного фундамента объемом – 67 М³.

д) Завершен арматурный каркас монолитного фундамента – 104,3 тон.

е) Объем нижней части арматурного каркаса стоек учтен в армировании каркаса монолитного фундамента.

***Победивший в тендере претендент не должен иметь претензий к выше перечисленным работам.***

2. После завершения работ, предусмотренных тендерной документацией, должно быть возможным принятие объекта в эксплуатацию. Вместе с этим, «поставщик» является ответственным за общую стойкость объекта, что достигается точным и полноценным исполнением проекта.

**6. Всем претендентам необходимо представить:**

1. Подписанное и заверенное печатью (юридическим лицом и инд.производителем) тендерное предложение, срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации), в которой необходимо указать стоимость лота, срок действия тендерного предложения , желательные для претендента условия оплаты.

2. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной и в другой валюте **(без НДС)**. В случае предъявления в другой валюте, оценка тенд. предложения будет произведена согласно курсу Национального банка Грузии в день открытия пакетов.

3. **В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию (только с банка) по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта**, срок действия, который должен на 50 календарных дней превышать срок окончательного исполнения обязанностей предусмотренных в договоре.

Претендент не будет допущен к оценке, если в отношении претендента ведется делопроизводство о неплатежеспособности и представленные им тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок ***О.О.О. «Грузинская железная дорога»***. тел: **56-33-71 Мака Жужунашвили.** (Аппарат тендерной комиссии: Н. Конджария. 56-38-60. Т. Хокерашвили 56-39-30, И. Лобжанидзе 56-46-96.)

***Тендерная комиссия***

# სპორტი

## ქართული "სუპერკლასიკოს" მოლოდინში

**მიხეილ აბაიშვილი**

*დონალდ ჯუისმა დინამოს ზედიზედ მეორედ მოუტანა მნიშვნელოვანი ქულა*

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი სწორედ იმ ზღვარს მიადგა, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში ელოდა ქართველი ქომაგი. 30-ე ტურმა საჩემპიონო რბოლას შემორჩენილ ორ კონკურენტს შორის ქულათა სხვაობაში მინიმალური კორექტივი შეიტანა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი სეზონის მთავარი ტიტულის მფლობელის წინდაწინ გამოსავლენად. "ვიტ ჯორჯიას", რომელიც ამ ტურამდე 4 ქულით უსწრებდა "დინამოს", ამ ტურში დასვენება უწევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ჩემპიონს ქულათა სხვაობაში "სტატუს კვოს" აღდგენა, ესე იგი, ერთი ქულის სიშორეზე მიახლოება შეეძლო. "დინამომ" ეს ვერ შეძლო: ბოლნისში, ადგილობრივ "სიონთან" მატჩში, მხოლოდ ფრეს გამორჩა და მთელი 3 ქულით ჩამორჩება "ვიტ ჯორჯიას", თუმცა, ეს მაინც არ არის ის სხვაობა, რომელიც ვეტერინარებს გადამწყვეტი მატჩის წინ მშვიდად ყოფნის საშუალებას მისცემს. "დინამოს" ამოცანა არ შეცვლილა. "სიონთან" რომ მოეგო კიდეც, მომდევნო ტურში, ეგრეთ წოდებულ ადგილობრივი მნიშვნელობის "სუპერკლასიკოში", რომელშიც ჩემპიონობის მაძიებლები 10 მაისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ არენაზე წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ, "დინამოს" მხოლოდ მოგება გაუჩენდა ტიტულის შენარჩუნების რეალურ შანსს. ბოლნისში დაკარგული ქულების მიუხედავად, "ვიტ ჯორჯიას" დამარცხება კაჭარავას გუნდს ქულათა დეფიციტს ამოაწურინებს და თანაბარი ქულების პირობებში სხვა სტატისტიკური მონაცემების უკეთესი თანაფარდობა პირველ საფეხურზე გადაიყვანს. ეს იმას ნიშნავს, რომ დარჩენილ ორ ტურში ქულათა მაქსიმუმის აღების შემთხვევაში "დინამო" ზედიზედ მეორედ მოიპოვებს ჩემპიონის ოქროს მედლებს. ასეთი სცენარი სრულიად რეალისტურია იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ტურებში "ვიტ ჯორჯიასაც" და "დინამოსაც" იოლი, "სამქულიანებად" წოდებული მატჩები აქვთ ჩასატარებელი. თუმცა, რჩება ერთი "მაგრამ". კერძოდ, მოვლენები რომ ამ სცენარით განვითარდეს, "დინამომ" აუცილებლად უნდა მოუგოს "ვიტ ჯორჯიას". მიმდინარე სეზონში კი საქართველოს 13-გზის ჩემპიონს იგივე ტურნირის ერთგზის გამარჯვებულთან ჯერჯერობით სამი ქულა არ აუღია. სეზონისწინა ორი საჩემპიონატო მატჩიდან "დინამო" მხოლოდ ქულას გამორჩა: ერთხელ დამარცხდა და ერთი შეხვედრა ფრედ დაასრულა.

დავუბრუნდები 30-ე ტურს, რომელშიც "სიონს" სულ ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ მისთვის ამ "ჩავარდნილ" სეზონში რიხიანად გაეჯახუნებინა კარი და გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინა "ოქრო-ვერცხლის" გადანაწილებაზე. უკვე ყველა შეეჩვია იმას, რომ ეს გუნდი საკუთარ მოედანზე ნებისმიერი მეტოქისთვის მრისხანე მოწინააღმდეგეა და იშვიათად თმობს ქულებს. ეს თეზისი ყველაზე ნაკლებად "დინამოზე" ვრცელდებოდა. ამ ორი გუნდის დაპირისპირებათა ისტორია გუშინდლამდე 19 თამაშს ითვლიდა, რომელთაგან "დინამომ" 14-ში გაიმარჯვა, 2 მატჩი ფრედ დამთავრდა და მხოლოდ 2 გამარჯვება მოიპოვა "სიონმა". თუმცა, სწორედ ის მარცხები "დინამოს" ორჯერვე ჩემპიონის ტიტულად დაუჯდა. მატჩიც სწორედ ამ კონტექსტში წარიმართა: "სიონი" ცდილობდა "გაესამებინა", "დინამო" კი ცდილობდა იმ დანავსულ ალაგზე არ დაეტოვებინა ოქროს მედლები, სადაც ორჯერ მოუხდა ამის გაკეთება ადრე. მატჩი სტუმრების უპირატესობით წარიმართა და, რომ გამართლებოდა, "დინამო" სოლიდური სხვაობით შეძლებდა წარმატების მიღწევას. თუმცა, კაჭარავას ბიჭებმა არაერთი რეალური საგოლე შანსი ვერ გამოიყენეს. დამაგვირგვინებელ ფაზაში, დინამოელთა უზუსტობის გარდა, დამნაშავე იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე ჭანტურია. მან რამდენიმე ისეთი "სეივი" შეასრულა, რომ კასილასსაც კი შეშურდებოდა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: პირველი ტაიმის მე-20 წუთზე "დინამოს" ლეგიონერი დონალდ ჯუისი მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმოში მოცელეს - მსაჯმა პენალტი დანიშნა. ჭანტურიამ აქაც იყოჩაღა და მერებაშვილის დარტყმა მოიგერია, საკუთარმა მცველებმა კი ვერ დააზღვიეს - დამატებაზე თომაშვილმა ყველას დაასწრო და გოლი გაიტანა.

ბოლნისელებმა მატჩის მეორე ნახევარში აღადგინეს ანგარიშში თანაფარდობა: მიკუჩაძემ "დინამოს" მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და ზუსტად დაარტყა კარში. მატჩის დასრულებამდე საკმაო დრო რჩებოდა, თუმცა, "დინამომ", რომლისთვისაც თუნდაც ქულას ოქროს ფასი ჰქონდა, საკუთარი საჯარიმო მოედნის მისასვლელები საიმედოდ გადაკეტა. მართალია, სტუმრები შეტევაში დიდი ძალებით აღარ მიდიოდნენ, მაგრამ მთავარი დავალება - საკუთარი კარის უსაფრთხოების შენარჩუნება - კარგად შეასრულა და მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა.

ვითარება არ შეცვლილა არც ბრინჯაოს მედლებისთვის მებრძოლ დუეტში. როგორც რუსთავის "ოლიმპმა", ისე "ზესტაფონმა" გასვლითი მატჩები მოიგეს. რუსთაველებმა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ "გაგრას" აართვეს ქულები. ამ თამაშში ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის მიწურულს გავიდა: 86-ე წუთზე ონიანმა გამოიჩინა თავი.

"ზესტაფონი" კი უკვე გავარდნილ "ბორჯომს" სტუმრობდა და 3:1 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში "ჰეთ თრიკი" გელაშვილმა შეასრულა.

**30-ე ტური**

| | |
|---|---|
| სიონი - დინამო | 1:1 |
| გაგრა - ოლიმპი | 0:1 |
| ბორჯომი - ზესტაფონი | 1:3 |
| მგლები - მესხეთი | 4:1 |
| სპარტაკი - ლოკომოტივი | 1:3 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 27 | 18 | 8 | 1 | 49:15 | 62 |
| დინამო | 27 | 18 | 5 | 4 | 57:19 | 59 |
| ოლიმპი | 27 | 14 | 9 | 4 | 36:18 | 51 |
| ზესტაფონი | 27 | 15 | 4 | 8 | 36:23 | 49 |
| სიონი | 27 | 10 | 10 | 7 | 30:23 | 40 |
| ლოკომოტივი | 27 | 9 | 7 | 11 | 29:26 | 34 |
| მგლები | 28 | 9 | 6 | 13 | 35:37 | 33 |
| გაგრა | 28 | 6 | 7 | 15 | 21:42 | 25 |
| სპარტაკი | 27 | 5 | 7 | 15 | 27:44 | 23 |
| მესხეთი | 27 | 5 | 8 | 14 | 16:40 | 23 |
| ბორჯომი | 28 | 2 | 7 | 19 | 21:68 | 13 |

## ყველაფერი ატლანტაში გადაწყდება

NBA-ში მიმდინარე პლეიოფების პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდება. უკვე ცნობილია, რომ მომდევნო ეტაპზე ითამაშებენ ►კლივლენდი►, ►დენვერი►, ►ორლანდო►, ►ლეიკერსი►, ►დალასი►, ჰიუსტონი► და ►ბოსტონი►. ცხადია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ►ატლანტა ჰოუქსისა►და ►მაიამი ჰითის►დაპირისპირება, რომლის ბედი უკანასკნელ - მეშვიდე მატჩში გადაწყდება. ამ თამაშს ატლანტას ►ფილიპს არენა►უმასპინძლებს.

ხუთი თამაშის შემდეგ ჯორჯიელები სერიას ანგარიშით 3:2-ს იგებდნენ და მეექვსე მატჩში რომ ემარჯვათ, ყველაფერი დასრულდებოდა, თუმცა დუეინ ვეიდმა და კომპანიამ საკუთარ მოედანზე ჯორჯიელები უშანსოდ დატოვეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს.

ვეიდმა ტრავმირებულმა ჩაატარა თამაში და, მიუხედავად ამისა, მოედანზე ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესი იყო. ►ქორების►რბევაში სწორედ ვეიდმა დაიდო ლომის წილი. მაიამელთა ვარსკვლავის ანგარიშზე 41 ქულა იყო.

ჩვენ ველოდით, რომ მეექვსე მატჩში ზაზა ფაჩულია თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდებოდა. როგორც იცით, ტრავმირებულია ►ატლანტას►ძირითადი ცენტრი ალ ჰარფორდი და მის არყოფნაში ხუთეულში სწორედ ქართველი უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ ატლანტელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო - ზაზა ისევ სათადარიგოთა შორის დატოვა. ძირითადში კი ათამაშა სალმონ ჯონსი, რომელმაც 22 წუთში 6 ქულით და 5 მოხსნით გამოიჩინა თავი. თითქმის ასეთივე სტატისტიკა ჰქონდა ზაზა ფაჩულიასაც. მოედანზე გატარებულ 29 წუთში მან 6 ქულა, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

რაც შეეხება თავად თამაშს, თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ მეოთხედში მიმდინარეობდა. უფრო სწორად, პირველი მეოთხედის საწყის 5 წუთში. შემდეგ მასპინძლები სრულ უპირატესობას დაეუფლნენ და თამაში იოლად მიიყვანეს გამარჯვებამდე. საბოლოოდ ►მაიამიმ► 98:62 გაიმარჯვა.

ექვსი თამაშის შემდეგ აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალურ სერიაში ►ატლანტასა►და ►მაიამის►შორის ანგარიში თანაბარია. ყველაფერი მეშვიდე მატჩში გადაწყდება.

### "პალერმო" მჭედლიძის ტრანსფერს გამოისყიდის

როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი ლევან მჭედლიძე იტალიურ სერია ა-ში საბოლოოდ დაიმკვიდრებს ადგილს. ლევანი სიცილიური ►პელერმოს►ღირსებას იცავს, თუმცა ქართველი შემტევის ტრანსფერი კლუბ ►ემპოლის►ეკუთვნის. სიცილიელები მზად არიან მჭედლიძის ტრანსფერი გამოისყიდონ. თუმცა, საქართველოს ნაკრების ფორვარდის შეძენით, ►პალერმოს► გარდა, კიდევ რამდენიმე იტალიური კლუბია დაინტერესებული. სეზონის ბოლომდე უნდა გაირკვეს, თუ სად გააგრძელებს კარიერას მჭედლიძე. "პალერმოში►თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. ახლა კარგი შანსი გვაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ. ერთადერთი, რაც არ მომწონს, ის არის, რომ ცოტას ვთამაშობ, მაგრამ იმედი მაქვს, სიტუაცია მალე შეიცვლება," - განუცხადა უეფას ოფიციალურ ვებგვერდს ლევანმა.

### რუსეთის ერთა თასი გერმანიის მარცხით დასრულდა

ერთა თასის 2009 წლის გათამაშება რუსეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდების თამაშით დასრულდა. რუსმა მორაგბეებმა მიწასთან გაასწორეს გერმანელები და ერთა თასის გათამაშება მეორე ადგილზე დაასრულეს.

როგორც იცით, პირველობა არავის დაუთმეს ქართველმა ►ბორჯღალოსნებმა►. თუ იმ თამაშს გავითვალისწინებთ, რომელიც ჩვენმა ბიჭებმა აჩვენეს, წესით, ერთა თასის მომდევნო გათამაშების შემდეგაც ჩვენი გუნდი პირველ ადგილზე უნდა დარჩეს, რაც 1011 წლის მსოფლიო თასის საგზურს იძლევა. მსოფლიო თასზე პირდაპირ გავა მეორე ადგილზე გასული გუნდიც.

**2009 წლის "ერთა თასის" საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +90 | 9 |
| 2. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +85 | 8 |
| 3. პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | +40 | 7 |
| 4. რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +16 | 4 |
| 5. ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 2 |
| 6. გერმანია | 5 | 0 | 0 | 5 | -157 | 0 |

### "არსენალის" ამერიკელი უმსხვილესი აქციონერი

საფეხბურთო კლუბ ლონდონის ►არსენალის►აქციათა კიდევ 8 პროცენტი ამერიკელმა ბიზნესმენმა სტენ კრონკემ შეიძინა და კლუბის უმსხვილესი აქციონერი გახდა. ამჟამად კრონკეს აქციათა 28,3 პროცენტი აქვს, სიდიდით მეორე აქციათა პაკეტი კი ეკუთვნის რუს მილიარდერს ალიშერ უსმანოვს. ის ►არსენალის►ფასიანი ქაღალდების 25 პროცენტის მფლობელია. ლონდონური კლუბის გარდა, ამერიკელი ბიზნესმენი, რომლის ქონება 3,5 მილიარდი დოლარია, NBA-ს კლუბ ►დენვერ ნაგითსს►, NHL-ის ►კოლორადოსა►და MLS საფეხბურთო ლიგის კლუბ ►კოლორადო რეპიდს►ფლობს.

### რიბერი "ბარსელონაში" გადადის

კატალონიური მედიის ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია, რომ ►ბაიერნის►ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი მომავალი სეზონიდან ►ბარსელონაში►ითამაშებს.

კატალონიური გაზეთი ►ელ მუნდო დეპორტივო►ირწმუნება, რომ გერმანული კლუბი რიბერის სანაცვლოდ მიიღებს 25 მილიონ ევროს - იმდენს, რამდენიც მასში 2007 წელს ►მარსელს►გადაუხადა, და კიდევ ერთ მოთამაშეს - ბელარუს ალეკსანდერ გლებს ან ისლანდიელ ეიდურ გუდიონსენს.

ეს ინფორმაცია ჯერ არც ერთ მხარეს არ დაუდასტურებია.

### ნიკოპოლიდისი არ ბერდება

ვეტერანმა ბერძენმა მეკარემ ანტონის ნიკოპოლიდისმა ►ოლიმპიაკოსთან►კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა.

38 წლის ნიკოპოლიდისს გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა მოუწევს ►ოლიმპიაკოსის►შემადგენლობაში იჯარით მოთამაშე ურკო პარდოსთან, რომლის სატრანსფერო უფლებები რუმინულ ►რაპიდს►ეკუთვნის.

## დუნგას რონალდო არ სჭირდება

მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთში დაბრუნების შემდეგ რონალდო ნელ-ნელა შედის ფორმაში და კარგ თამაშს აჩვენებს, ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს დუნგა მიმდინარე წლის 14-დან 28 ივნისამდე სამხრეთ აფრიკაში გასამართ კონფედერაციის თასზე მის წაყვანას არ აპირებს.

„მომავალ ტურნირზე რონალდო ნამდვილად არ ითამაშებს. კონფედერაციის თასის შედარება სანპაულუს შტატის ჩემპიონატთან, რომელშიც ის ახლა გამოდის, არ შეიძლება. არც ის მინდა, რომ გავრისკო და რამდენიმე თვის წინ მოშუშებულ მის მუხლს დაზიანების საშიშროება შეექმნას. რონალდო არც 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ნაკრების მიერ ივნისში გასამართ მატჩებში ითამაშებს,“- განაცხადა დუნგამ, რომელიც კონფედერაციის თასისთვის ბრაზილიელთა შემადგენლობას 21 მაისს დაასახელებს.

## კორეელი ნახევარმცველი "მანჩესტერში" რჩება

სამხრეთკორეელი ნახევარმცველი პარკ ჯი-სუნი „მანჩესტერიდან“ წასვლას არ აპირებს და მომავალ სეზონსაც მანკუნიანელთა შემადგენლობაში გაატარებს.

აზიელმა ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი ხელშეკრულების პირობები უკვე შეათანხმა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ დატოვების მიზეზი არ მაქვს, რადგან მსოფლიოში საუკეთესო კლუბში ვთამაშობ,“- განაცხადა პარკმა.

## მალუდა უარყოფს

საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ნახევარმცველი ფლორინ მალუდა ლონდონური კლუბის დატოვებას არ აპირებს.

„ყველა ჭორზე პასუხისმგებელი არ ვარ. არასოდეს განმიცხადებია, რომ „ჩელსიდან“ წასვლა და ამა თუ იმ გუნდში თამაში მსურს. კლუბშიც არავის უთქვამს, რომ ჩემი გაყიდვა უნდათ. ლონდონელებთან გრძელვადიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და მის ამოწურვამდე ამ გუნდში ვაპირებ თამაშს,“- თქვა მალუდამ.

სულ რაღაც თვენახევრის წინ ბრიტანულ მედიაში დაიწერა, რომ მალუდას „ჩელსის“ დატოვება და „ბარსელონაში“ გადასვლა სურს.

## "ინტერმა" ლენონს დაადგა თვალი

იტალიის „ინტერი“ ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ განაპირა ნახევარმცველის აარონ ლენონის შეძენისთვის ბრძოლაში ჩაება.

მილანურ და ლონდონურ კლუბებს შორის გარიგება ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროსაც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ „ტოტენჰემმა“ პორტუგალიელ რიკარდო კუარეჟმაზე ლენონის გაცვლა არ ისურვა.

„ინტერის“ გარდა, ლენონის საკუთარ რიგებში ხილვა რამდენიმე ინგლისურ კლუბსაც სურს. მათ შორის აქტიურობენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“.

## მარკსმა ოპერაცია გაიკეთა

„ბარსელონასა“ და მექსიკის ნაკრების მცველს რაფა მარკესს „ჩელსისთან“ მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ ოპერაცია გაუკეთეს.

კატალონიელი ექიმების თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მექსიკელ ფეხბურთელს, სულ მცირე, ორი თვე მაინც დასჭირდება გამოსაჯანმრთელებლად.

## დომენეკმა გურკუფის ადვოკატობა იკისრა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა, რომელსაც კრიტიკოსები თავადაც არ აკლია, გურკუფის ადვოკატობა იკისრა და გააკრიტიკა „მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი, რომელმაც გურკუფი აუგად მოიხსენია, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ფრანგი ბრწყინვალე ფეხბურთს აჩვენებს.

გურკუფი „მილანში“ ირიცხებოდა, თუმცა ფრანგმა იტალიურ გრანდში ფეხი ვერ მოიკიდა და ახლა ფრანგულ „ბორდოში“ თამაშობს იჯარის წესით.

„გურკუფი 22 წლისაა და ის პროგრესირებას განაგრძობს. ამიტომ ანჩელოტის სიტყვებს არავითარი აზრი არა აქვს. მან სერიოზული განცხადება გააკეთა, თუმცა, მისმა სიტყვებმა გარკვეულწილად გამახარა კიდეც - ახლა გურკუფი უნდა გაბრაზდეს და „მილანს“ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე აჩვენოს. თუმცა, იმის გამო, რომ „როსონერიმ“ კონტრაქტი გაუფორმა, ის არცთუ ცუდი ფეხბურთელი უნდა იყოს,“- აღნიშნა დომენეკმა.

# ვის ერგება დიეგო

*დიეგოს "ბაიერნში" იწვევენ*

სატრანსფერო სეზონის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო ხშირად ისმის ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვა-გაყიდვის ამბავი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ზაფხულს „ვერდერის“ შემტევი დიეგო ერთ-ერთი ყველაზე მსუყე ლუკმა გახდება. ვინ არ ცდილობს მის გადაბირებას. ამბობდნენ, თითქოს დიეგომ „იუვენტუსთან“ პირადი კონტრაქტიც კი შეათანხმა, თუმცა ეს თავად ფეხბურთელმა და ბრემენის „ვერდერმა“ უარყვეს. შემდეგ გამოჩნდა „რეალის“ ვარიანტი. ახლა კი გერმანული მედია ირწმუნება, რომ დიეგო „ბაიერნში“ გააგრძელებს კარიერას.

„რეკორდმაისტერები“ რიბერის შესაძლო შემცვლელს ეძებენ. უკვე ითქვა, რომ „ბაიერნს“ ფრანგი ვარსკვლავის შენარჩუნება გაუჭირდება, ამ ვითარებაში კი ბრაზილიელი დიეგო „ბაიერნისთვის“ იდეალური ვარიანტია.

„თუ „ბაიერნს“ ჩემი გადაბირება უნდა და საამისოდ კონკრეტული წინადადებაც აქვთ, კლუბის სპორტულ დირექტორს კლაუს ალოფსს უნდა მიმართონ. ამის შემდეგ „ვერდერი“ გადაწყვეტს, რომელია მისთვის საუკეთესო ვარიანტი,“- აღნიშნა ბრემენის „ვერდერის“ 24 წლის ბრაზილიელმა გამთამაშებელმა „საკვირაო ბილდთან“ საუბარში.

რეკორდმაისტერთან მოლაპარაკებაზე არც ალოფსი ამბობს უარს.

„ბაიერნი“ ჯერ არ შემხმიანებია. მაგრამ თუ დამირეკავენ, ტელეფონს ნამდვილად არ გავუთიშავ,“- თქვა მან.

ცხადია, ლიდერის დათმობა „მუსიკოსებს“ სულაც არ ეხალისებათ. მაგრამ, ერთია ის, რომ არ ეთმობათ, მაგრამ მისი გაყიდვის შედეგად მიღებული 25 მილიონი ევროთი რამდენიმე მოთამაშეს შეიძენენ.

ეგეც არ იყოს, „ვერდერს“ თითქმის შეგულებული ჰყავს დიეგოს შემცვლელი, გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული 20 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი მესუთ იოზილი. ის, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გააფორმებს კონტრაქტს ბრემენელებთან, რომლის თანახმად, „ვერდერში“ 2011 წლამდე ითამაშებს.

# რონალდუს რეალი აღარ აინტერესებს

*რონალდუ "მანჩესტერის" ერთგული რჩება*

ალბათ გახსოვთ, რა აურზაური ატყდა გასულ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდ კრიშტიანუ რონალდუს გარშემო. პორტუგალიელის გადაბირება მადრიდის „რეალს“ სურდა. „სამეფო კლუბის“ იმდროინდელმა პრეზიდენტმა ვისენტე კალდერონმა ყველა ხერხს მიმართა, რათა რონალდუ ხელში ჩაეგდო. ხშირად სატრანსფერო ეთიკასაც კი არღვევდა, რაც საფეხბურთო საზოგადოების გაღიზიანებას იწვევდა. გარკვეულ ეტაპზე „რეალის“ პრეზიდენტმა თითქოს საწადელსაც მიაღწია - ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რონალდუმ თქვა, რომ „რეალში“ გადასვლა მისი ოცნებაა და ამ ოცნებას აუცილებლად აისრულებს.

შემდეგ საქმეში „მანჩესტერის“ მესვეურები ჩაერივნენ და იმდენი მოახერხეს, რომ რონალდუ, სულ მცირე, ერთი სეზონით დარჩენაზე დაითანხმეს.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონი მთავრდება. მოახლოვდა ზაფხული და დაიწყება მორიგი სატრანსფერო ციებ-ცხელება. რონალდუ კი ნებისმიერი კლუბისთვის კვლავ სასურველი ლუკმაა. მადრიდის „რეალში“ საპრეზიდენტო არჩევნებიც მოახლოვდა. „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტის პოსტის დაკავების ყველაზე დიდი შანსი აქვს ფლორენტინო პერესს, რომელმაც უკვე რამდენჯერმე აღნიშნა, რომ არჩევნების მოგების შემთხვევაში რონალდუს აუცილებლად იყიდის, თუმცა, ეტყობა, პერესმაც და „რეალმაც“ უნდა დაივიწყონ რონალდუზე ფიქრი.

„მადრიდის „რეალზე“ აღარ ვფიქრობ. ამ კლუბში თამაშზე მართლაც ვოცნებობდი, მაგრამ ეს ოცნება უკვე მკვდარია. „რეალი“ საერთოდ აღარ მაინტერესებს. ერთადერი, რაზეც ახლა ვფიქრობ, ის არის, რომ „მანჩესტერთან“ ერთად კიდევ ერთხელ მოვიგო ჩემპიონთა ლიგა და ამჯერად ეს რომში გავაკეთო. შემდეგ კი დავისვენებ, სატრანსფერო საქმეებით თავს არ შევიწუხებ და მომავალი სეზონისთვის მოვემზადები“, - თქვა რონალდუმ ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება:** P41198-NCB-1-33
ბორჯომის რაიონში სადგერი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია
**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 4 ივნისი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ბორჯომის რაიონში სადგერი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო *სამუშაოების* განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს სადგერი-ტბა-ცემის გზის რეაბილიტაციას, კერძოდ საგზაო საფარის კაპიტალურ შეკეთებას საერთო ფართობით 34876 მ2, შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით - 2734 მ3.

ძირითად სამუშაოთა მოცულობები:

1. არსებულ საფუძველზე შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით - 2734 მ3;
2. საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა h=80მმ ღორღოვანი მასალით ფრაქციით 5-40 მმ - 2946 მ3;
3. გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით - 2037 მ3;
4. მრგვალი რკინაბეტონის მილების მოწყობა d=1000 მმ- საერთო სიგრძით 35 მ;
5. საფარის ქვედა ფენის მოწყობა (h=4 სმ) ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით ტიპი "ბ" მარკა II, - 29230 მ2;
6. საფარის ზედა ფენის მოწყობა (h=3 სმ) წვრილმარცვლოვანი მკვრივი ცხელი ა/ბეტონით ტიპი "ბ" მარკა II, - 29230 მ2.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **6 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **1,0** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **3,9** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,3** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 სააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **26,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **4 ივნისის 11:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **4 ივნისს 11:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება:** P41198-NCB-1-27
**მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის დასახლების შიდა გზების მოასფალტება და მისასვლელი გზების მოწყობა**
**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 4 ივნისი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის დასახლების შიდა გზების მოასფალტება და მისასვლელი გზების მოსაწყობი *სამუშაოების* განსახორციელებლად ("სამუშაოები").

პროექტი მოიცავს წეროვანის დასახლების 19 ქუჩის და 3 მისასვლელი გზის მოასფალტებას საერთო ფართით 40416 მ2.

ძირითადი სამუშაოებია:
- ქვეშაგები ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ - 6899,0 მ3
- საფუძვლის მოწყობა ღორღით (ფრაქციით 0-40მმ) სისქით 10სმ - 40416,0 მ2
- საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ ცხელი ნარევისაგან, ტიპი "` ", მარკა II, სისქით 5სმ - 40416 მ2
- მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 15 სმ - 2953 მ3

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **5 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **1,3** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **5,8** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,6** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 სააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **32,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **4 ივნისის 12:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **4 ივნისს 12:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

## საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის ინიციატივით ცხადდება 2009 წლის სასწავლო - სამაგისტრო პროგრამა!

გრანტი გაიცემა უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს, რომლის ასაკი არ აღემატება 40 წელს და რომელიც მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების მიზნით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გრანტის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელია 2009 წლის 31 მარტიდან ა.წ. 26 ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისვის იხილეთ ვებ. გვერდი WWW.DRF.ORG.GE ; ტელ: 996 723; 93 28 53.

## განცხადება

**შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი''-ს ლიკვიდაციის შესახებ**

გაცნობებთ, რომ შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი''-ს მიმართ მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი (იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი ს. ხიმშიაშვილის 20 ს/კ 245515313).

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 899 400 267, 871 33 17 74**